სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

176

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა,

ოთხშაბათი, 26 ივნისი 1918 წ.

ერთობა

ფასი 40 კაპ.

გაზეთი ღირს: 1 თვით 9 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба“. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 130 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა № 130

დუშეთის მაზრის კომისარი ვანო გიორგის ძე დუმბაძე, ამავე მაზრის მილიციის უფროსი გიორგი კონსტანტინეს ძე ჟორდანია, აღმასრულებელი კომიტეტის და თავდაცვის შტაბის წევრი პეტრე ვიგორბინი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს, რომ 19—20 ივნისს ქ. დუშეთში არეულობის დროს მხეცურად გამოასალმეს წუთისოფელს სამშობლოს სპეტაკი მუშაკნი პირველი—აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, მეორენი—კომიტეტის წევრები, ხოლო დანარჩენი—მფრინავთა რაზმის წევრები

ალექსანდრე (საშა) რიპაძე, პეტრე ავლახიშვილი, გორა ნაზლიაშვილი, იუნკერი ამბროსი ჩიქოვანი, ელიაზარ ეგრალიძე, ვასო გოგოლაური და ისაკი ნაზლიაშვილი

(პირველი ორი დროებით დამარხულია იქვე).

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები ალვასი ოქროპირის ასული და გიგო გლახუნას ძე, ძმები: მიხეილ, ნიკოლოოზ, კოტე, დათიკო, პეტრე და ანდრო; დები: კავესი და ნატალია; რძლები: ოლღა, კესარია და ბარბარე ბუაჩიძენი აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ თერგის ოლქის სახალხო საბჭოს კომისარების თავმჯდომარის

სამუილ გიგოს ძე ბუაჩიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ოთხშაბათს, 26 ივნისს, დილის 12 საათზე სოფელ ფარცხნალში (სადგური ხარაგოული). ცალკე წერილი არ გაიგზავნება. (1—1)

რაჟდენ ანტონის ძე და მეუღლე მისი მარგალიტა ანტონის ასული ბუაჩიძენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქალ. კავკავში თერგის ოლქის სახალხო საბჭოს კომისართა თავმჯდომარის

სამუილ გიგოს ძე ბუაჩიძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 26 ივნისს, 12 საათზე, სოფ. ფარცხნალში. (1—1)

გულ-დამწვარი მეუღლე მარიამი, მამა სიმონი, დედა თებროლე, ძმები: ვანო, პარმენი, ნესტორი და ვარლამი, რძალი ეკატერინე ქლიბაძეები, სიდედრი მარიამ კახელაძისა და სიძე ნოე ლილუაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ ძვირფასი

კოლია (კოწია) სვიმონის ძე ქლიბაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს 27 ივნისს 2 საათზე არამიანცის საავადმყოფოდან. დაკრძალავენ ნაძალადევში ძმათა სასაფლაოზე.

გულ-მოკლულნი მელიტონ და სამსონ ფერაძეები ღრმა მწუხარებით აცნობებენ ნაცნობთ და მეგობართ, რომ 24 ივნისს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი ამხანაგი, პარტიული გულწრფელი მუშაკი

კოლია (კოწია) სვიმონის ძე ქლიბაძე.

დაღონებული ქვისლი სოლომონ და ცოლისდა ნინა ქორიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და ნაცნობთ ძვირფასი

კოლია (კოწია) სვიმონის ძე ქლიბაძის

გარდაცვალებას. გამოასვენებენ არამიანცის საავადმყოფოდან ხუთშაბათს 27 ივნისს დღის 2 ს. დაკრძალვა მოხდება ნაძალადევის ძმათა სასაფლაოზე.

მწუხარებაში მყოფი ქვისლი დათიკო, ცოლის და ბარბარე მუჩაიძეები და ცოლის დის შვილი მართა (მათიკო) ჯაბადარი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ძვირფასი

კოლია (კოწია) სვიმონის ძე ქლიბაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება არამიანცის საავადმყოფოდან ხუთშაბათს, 27 ივნისს, 2 საათზე. დასაფლავება ნაძალადევის ძმათა სასაფლაოზე.

თფილისის საოლქო არსენალის მუშები უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს აღმასრულებელ კომიტეტის ყოფილ წევრის და არსენალის მუშის

კოსტა სიმონის ძე ქლიბაძის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს გამოასვენებენ არამიანცის საავადმყოფოდან ხუთშაბათს, 27 ივნისს, დღის 2 საათზე. დაკრძალვა ნაძალადევის ძმათა სასაფლაოზე.

ემელიანე დავითის ძე კუკულავა, ევტიხი, გაბრიელი და სიმონი ჩიგოგიძეები, გიორგი მოსეს ძე ანთაძე, მაქსიმელ ელიზბარის ძე კობალაძე და ბესარიონ გრიგოლის ძე სიხარულიძე ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე ტფილისში ვერაგულათ მოკლულ იქმნა

ანგია ანტონის ძე კუკულავა

დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

გულდათუთქული ქმარი მიხეილ, შვილები: გიგო, ანასტასია; რძალი—ოლია—შვილებით: სილოვანი, მარიამი, დავითი, მიშა და კოლა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ პირველის—მეუღლესა, მეორის—დედისა, ხოლო დანარჩენების—ბებიის

ელისაბედ ნიკოლოზის ასულის ლეკვეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 26 ივნისს, 2 საათზე, ქაშვეთის სასაფლაოზე სოფ. დიდი ჯიხაიში. პანაშვიდი ყოველდღე.

განცხადება

ბორჯომის მამულის მიმღები კომისია

ამით აცხადებს, რომ ბორჯომის მამულის შუშის ქარხანაში 7 ივნისიდან განახლდა მუშაობა, სადაც ამზადებენ „კონიაკის“, „ვერმუტის“ და „კვარტის“ ბოთლებს, ფეხსაცმელის მაზის და აფთიაქის შუშებს სხვადასხვა ზომისას; ახლო მომავალში დაიწყება მზადება ლამფის შუშების და ჭიქების. ამ ჟამათ ქარხნის საწყობებში გასასყიდათ დამზადებულია შემდეგი ბოთლები:

„შამპანის“ ბოთ. ერთი მეთექვს.	78240	ცალი
„ბორდო“ „ მეოცედი	58664	„
„კვარტა“ „ მეათედი	23408	„
ბოთლები მეოთხედი ვედროსი	12155	„
ბანკები 12 გირვანქის	713	„
„ 15 „	1007	„
„ 20 „	448	„

ბორჯომის მამულის სახერხავ ქარხნებში (ქ. ბორჯომში და სუმბათოვში) გასასყიდათ დამზადებულია შემდეგი სამშენებლო მასალები:

ფიცრები 4 საჟ., 3 საჟ. და 2 საჟ.	10130	ცალი
კოჭები 4 საჟ., 3 საჟ. და 2 საჟ.	1725	„
ხიდის კოჭები 2,5 საჟ. და 1,5 საჟ.	160	„
„რეიკები“ 4 საჟ. და 3 საჟ.	4000	„
„შპალები“ ვიწრო ლიანდაგის 0,95.	12200	„
„ბოგდადკი“ კედლების შტუკატურისათვის 2 ალაბი 12 გოჯი	35000	„
„შტოკეტები“ 2 ალაბი 2 ნახ. გოჯი	7800	„

ყოველნაირ ცნობების მისაღებათ მყიდველებმა უნდა მიმართონ ბორჯომის მამულის მიმღებ კომისიას ქ. ბორჯომში.

ბორჯომის მამულის მიმღები კომისია.

მთავრობის განახლება

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 24 ივნისს გადადგომის ქაღალდი წარუდგინა ეროვნულ საბჭოს. საბჭომ შეიწყნარა მთავრობის თხოვნა და იმავე დღეს დადგენილება გამოიტანა: მიენდოს მთავრობის შედგენა ნოე ჟორდანიას და ეს უკანასკნელი საგანგებო უფლებებით იქნას აღჭურვილი. ჟორდანიამ წინადადება მიიღო და ახალ მთავრობის შედგენას შეუდგა.

რა გზას ადგა ყოფილი მთავრობა? რა უნდა გააკეთოს ახალმა მთავრობამ?

სულ რაღაც ერთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც ძველმა მთავრობამ ნ. რამიშვილის მეთაურობით დეკლარაცია წარუდგინა ეროვნულ საბჭოს და ამ უკანასკნელმა მთავრობის სამოქმედო გეგმა მოიწონა. ახალ მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ ამცნო საბჭოს, რომ ისიც უკვე გამოქვეყნებულ გეგმის განხორციელებას ისახავს მიზნათ. მაშასადამე მთავრობის მოქმედების პროგრამა უცვლელი რჩება, უნდა შეიცვალოს მხოლოდ მოქმედების მეტოდი.

ასეთი ცვლილების საჭიროება გამოწვეულია არსებულ მდგომარეობის სირთულით, რაც ძველმა მთავრობამ კიდეც აღნიშნა გადადგომის ქაღალდში: გაძლიერებულ ანარქიასთან ბრძოლა ითხოვს ქვეყნის ყველა ძალების გაერთიანებას, პირველ რიგში კი რევოლიუციონურ ცენტრების მთავრობასთან ორგანიულ დაკავშირებას. რევოლიუციონური ცენტრები დღემდისაც დიდ სამსახურს უწევდენ მთავრობას, მაგრამ ამ უკანასკნელის სათანადოთ მოუწყობლობის გამო, ცენტრები იძულებული იყვნენ ზოგიერთი აღმასრულებელი ფუნქციები თავს ედოთ, რაც ასუსტებდა მთლიან მთავრობის სისტემას. დღეს მდგომარეობა იმდენათ გართულდა, რომ არა ჩვეულებრივ ზომების მიღება გახდა საჭირო. უპირველეს ყოვლისა კითხვა დადგა, შეიქნას ისეთი მთავრობა, რომელსაც მმართველობის ყველა სადავეები ექნება ხელთ. ასეთი გადაწყვეტილება თვით რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა მიიღეს. და საჭირო იყო მთავრობის სათავეში ჩამდგარიყო ისეთი პირი, რომელიც ყველა დემოკრატიულ წრეების ნდობით სარგებლობს: ასეთი პირია დემოკრატიის ბელადი ნოე ჟორდანია.

ნოე ჟორდანია შეუდგა ახალ მთავრობის შედგენას და იმის ნათელსაყოფათ, რომ ძველი მთავრობის პროგრამა არსებითად იგივე რჩება და რომ საჭიროა მხოლოდ მისი განახლება საბჭოს განუცხადა,—რომ სამ მინისტრის შემადგენლობა რჩება იგივე, მხოლოდ ზოგიერთი ახალი პირები იქნება შეყვანილი და აგრეთვე ის ეცდება შეძლების და გვარათ გაამარტივოს მმართველობა და გახადოს ის უფრო მოძრავი და მოქმედი. ასეთია არსებითად მომხდარ ცვლილების აზრი და შინაარსი.

ფორმალურის მხრითაც მოხდა ჩვენის პარლამენტის ცხოვრებაში ერთი ცვლილება: თუ დღემდის პარლამენტის თავმჯდომარეს ქონდა მინდობილი მთავრობის მეთაურის გამონახვა, დღეიდან წესათ შემოდის მთავრობის ხელმძღვანელის არჩევა პირდაპირ პარლამენტის მხრით. ეს შედარებით უფრო დემოკრატიული წესია, თუმცა მას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

[illegible] მნიშვნელობა აქვს საქართველოს ყველა სასიცოცხლო ძალების გაერთიანებას და ერთი ძლიერი მთავრობის შექმნას. ამიერიდან ყოველგვარი აღმასრულებელი ფუნქცია უნდა გამოდიოდეს მთავრობის ხელიდან, სხვა ორგანიზაციები ასეთს ფუნქციებს აღარ უნდა ასრულებდენ. ამ გზით შეიძლება განმტკიცდეს მთავრობის ავტორიტეტი, რაც ასე საჭიროა ანარქიასთან საბრძოლველათ და გარედან მოსულ ძალების შესაჩერებლათ. ამაშია ჩვენი ხსნა. მთელი დემოკრატია უნდა შეერთდეს რევოლიუციის და ქვეყნის დამოუკიდებლობის დასაცველათ.

დამოუკიდებელი საქართველო გადარჩება როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, ან ის სულ დაიღუპება—განაცხადა განახლებულ მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ქართველი ხალხი ანგარიშს გაუწევს ამ განცხადებას და რევოლიუციის და ქვეყნის გადასარჩენათ არავითარ მსხვერპლს არ მოერიდება.

ხსნა დემოკრატიის ყველა ძალების გაერთიანებაშია.

პრესა

„ვოზროჟდენიე“ მოწინავე წერილში ეკამათება სოციალისტურ გაზეთებს: არავითარი საფრთხე არ არსებობსო. ის დამსახურებულ ადამიანის კილოთი გვასწავლის:

„ჩვენ წინეთაც აღგვინიშნავს, რომ ოპოზიცია ყოველ პარლამენტში საჭიროა და მისი გაჩენა არა თუ არ უნდა იწვევდეს შიშს, პირიქით უნდა ამაგრებდეს რწმენას, რომ საქართველოს საგარეო მდგომარეობა იმდენათ განმტკიცდა, რომ შესაძლებელია პარლამენტარული ბრძოლა შინაურ პოლიტიკის საქმეების გამო.

ეს ბრძოლა უკვე დაიწყო და მისი მთავარი მოტივები ყველას მოეხსენება, საქართველო დემოკრატიული რესპუბლიკაა და არა სოციალისტური; საჭიროა დაწესდეს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული წყობილება და არა სოციალისტური“.

ასე აცნობს „ვოზროჟდენიე“ მკითხველებს საქმის ვითარებას. ნამდვილათ კი ნაციონალ-დემოკრატები საქართველოს პარლამენტში გამოდიან არა როგორც ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ წყობილების დამცველები, არამედ როგორც მემამულეების წარმომადგენლები და რაც სამარცხვინოა, ისინი ცდილობენ დაემყარონ გარეშე ძალას და არა ხალხს, რომელიც მათი მომხრე არ არის. ნუ თუ ეს არ იცის „ვოზროჟდენიემ“? იცის, ძალიან კარგათ იცის, მაგრამ ის სხვანაირათ ვერ მოიქცევა: მგელი მგლის ტყავს არ დახევსო, ნათქვამია.

* *

რუსულ „ვოზროჟდენიე“-ს მისი ქართული ტყუპი—„საქართველო“-ც არ ეთანხმება საფრთხის შესახებ, ის აღიარებს საშინელ საფრთხის არსებობას. საფრთხე არსებობს შინ და გარეთ, ეს ყველაფერი სიმართლეა. სიმართლეა აგრეთვე ისიც, რომ „საქართველოს იხსნის ყველა მისი ძალების გაერთიანება“. მაგრამ ვინ დაარღვია პირველათ ეს: თითონ ნაციონალ-დემოკრატიამ, რომელმაც მტრული განწყობილება დაიკავა ქართველ ხალხის წარმომადგენლების მიმართ და ერთი მუჭა მემამულეების გულისათვის დემოკრატიულ მთავრობაში მუშაობა არ ინდომა.

* *

„სახალხო საქმე“ ასე ახასიათებს „ეროვნულ“ დემოკრატების მამულიშვილობას:

„ჩვენი ნაციონალ-დემოკრატები, რომელნიც დღე მუდამ გულში ცემით სამშობლოზე ყვიროდნენ და მთლიან ეროვნულ ფრონტის დაცვას მოითხოვდენ—ეხლა სააშკარაოზე გამოვიდნენ. ეს ადამიანები წინად ამბობდენ: ჩვენი მიზანია ეროვნული თავისუფლება. ოღონდ იყოს ეს და ჩვენ არ ვიბრძოლებთ ვისთანმე დარჩენისათვის. სულ ერთია რანაირი იქნება პოლიტიკური წესწყობილება, მაგისთვის არავის შევედავებით—გინდ ყველაფერი სოციალისტების ხელში იყოსო. მაგრამ ეხლა როცა ჰგონიათ (რასაკვირველია სცდებიან), რომ წელ მომაგრებულნი არიან და ჰაერში რაღაცას ჰხედავენ სხვა შანგზე ამღერდნენ და აშკარად, გაბედულად ილაშქრებენ ხალხის და რევოლიუციონურ წრეების წინააღმდეგ. ეს გუშინდელი მონები, რომელთაც პოლიტიკური ლაქიობა ხელობათ გეხადათ დღეს ხმამაღლა გველაპარაკებიან და მიუხედავათ იმისა, რომ ვითომ მათი წადილი აღსრულდა, პოლიტიკური თავისუფლება მივიღეთ—მოსვენება არ აქვთ“.

დრომოჭმული წოდების იდეოლოგების ბედი ასეთია. კიდეც რომ მოინდომონ, სხვანაირათ ვერ მოიქცევიან.

საქართველოს ეროვნული საბჭო

(24 ივნისის სხდომა)

თავმჯდომარეობს ს. ბარათაშვილი.

კრების გახსნისას ის კითხულობს მთავრობისაგან მიღებულ შემდეგ განცხადებას:

„საქართველოს რესპუბლიკის პირველ მთავრობას დაეკისრა მეტად მძიმე მოვალეობა მოსპოს ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში ანარქია და აღადგინოს სრული წესიერება რევოლიუციის მოპოვებათა გასამტკიცებლად. ამ მოვალეობის ასასრულებლად ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მთავრობის გარშემო ყველა საზოგადოებრივ და რევოლიუციონურ რეალურ ძალთა გაერთიანება, რომ პარლამენტს საშვალება მიეცეს ეს მიზანი დაჩქარებით განახორციელოს, მთავრობამ დაადგინა სამსახურიდან გადადგეს და თქვენ გაცნობოს თავისი ასეთი დადგენილება ახალი მთავრობის დაუყონებლივ შესადგენით.

ირ. წერეთელი: მოქალაქენო, ს.-დემოკრატიულ ფრაქციის სახელით ნებას მივსცემ ჩემს თავს განვაცხადო შემდეგი: ჩვენ კარგათ გვესმის ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა მთავრობა გადაედგა ეს ნაბიჯი და პარლამენტისთვის მიემართა.

ამ ერთი კვირის წინათ ჩვენ მოვისმინეთ მთავრობის დეკლარაცია და საბჭომ მთავრობას სრული ნდობა გამოუცხადა. ამის შემდეგ ეს ნდობა არ შერყეულა, მაგრამ რა მიზეზია, რომ მან ეს ნაბიჯი მაინც გადადგა. ჩვენი დემოკრატია შესდგა ახალი ცხოვრების გზაზე და ეს ახალი კალაპოტი საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკის ცხოვრებისა უნდა დამკვიდრდეს. ჩვენმა დემოკრატიამ იმ პოლიტიკურ გზაზე, რომელზედაც ის თავიდანვე შესდგა, ბევრი დაბრკოლება იგემა და შეიძლება ბევრიც იგემოს, მაგრამ ჩვენი მოვალეობაა სწორი გამოსავალი გზა ვუჩვენოთ ამ შექმნილი მდგომარეობიდან. ეროვნული საბჭოს წარსულ კრებებზე დეკლარაციის წაკითხვის შემდეგ მივიდა იმ დასკვნამდი, რომ საჭიროა შეიქნას ძლიერი მთავრობა. თვით ხალხის ფართე მასსა მოითხოვს ძლიერი მთავრობის შექმნას, მაგრამ დღემდის, სამწუხაროთ, მაგარი მთავრობა არ შეგვიქმნია. დღემდის და დღეს ჩვენი მთავრობა სუსტია, ის სცოცხლობს ხელოვნური სულისდგმით. ჩვენ არ გვქონდა ერთი ძლიერი ცენტრი, არსებობდენ სხვადასხვა რევოლიუციონური ორგანიზაციები, რომლებიც მთავრობას სულს უდგამდენ. ჩვენი საერთო და შეურყეველი აზრია, რომ თუ ვერ შევქმენით ერთი ცენტრი, ძლიერი მთავრობა, მაშინ იმ გადამწყვეტ მომენტს წინაშე, რომლის წინაშე ჩვენ ვდგევართ, უძლურნი აღმოვჩნდებით და დავიღუპებით. ჩვენ გადავწყვიტეთ შევქმნათ მაგარი მთავრობა, ერთი მთლიანი ცენტრი. ამის შეგნება არის თვით ხალხში და ეს გარემოება იმედს გვაძლევს, რომ ეს ხალხი მას (მთავრობას) მხარს დაუჭერს. მოახლოვდა ძლიერი გადამწყვეტი მომენტი. ამ დროს სუსტი მთავრობა ვერას გახდება და დემოკრატია დაიღუპება თუ არ შექმნა ძლიერი მთავრობა. ეს იგრძნეს დემოკრატიის მოწინააღმდეგე ძალებმა და ისინი დაირაზმენ დემოკრატიული საქართველოს წინააღმდეგ. დღეს სხვა და სხვა ადგილებში აგიტაციას ეწევიან ჩვენს წინააღმდეგ და სხვის და ჩვენს შეცდომებს ყველას ჩვენ გვახვევენ თავზე. სხვადასხვა ჯურის ნაციონალისტები და რევოლიუციის მტრები თითქოს გრძნობენ, რომ თუ ახლა, ამ განსაცდელის დროს არ შეძლეს რევოლიუციონური დემოკრატიისათვის სასიკვდილო ლახვარის ჩაცემა გულში, მაშინ შეიძლება მან ღონე მოიკრიბოს, გაძლიერდეს და შემდეგ ვეღარას დააკლებენ. ამ რევოლიუციის დროს ბევრი ცუდი მდგომარეობა იყო. მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ქართველი დემოკრატია ისეთს განსაცდელის და უბედურების წინაშე, როგორშიაც დღეს არის. აქ ეროვნულ საბჭოში თითქმის ყველა პარტიები ლაპარაკობდენ ძალთა გაერთიანების, ერთსულოვნების საჭიროებას, ასე იყო სულ უკანასკნელ დრომდე და ეხლა კი, როცა განსაცდელი დადგა, თითქოს მიავიწყდათ ყველაფერი ეს და ოფიციალურად თავს ესხმიან ჩვენს მთავრობას და ხელმძღვანელ პარტიას, ეს ასეა აქ, ასეა მთელს საქართველოში.

დადგა დრო როცა უნდა შეიქმნას ძლიერი მთავრობა. აქ არის ახლა ძლიერი პოზიცია, აქ მოაქვთ ყველა ჯურის ნაციონალისტების და საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს იერიშები და ჩვენ ერთ ცენტრში უნდა მოვუყაროთ თავი ყველა ჩვენს საუკეთესო ძალებს, რომლებიც სხვა და სხვა ადგილას არიან სამუშაოდ გაფანტულნი. ეს უკანასკნელი უნდა მოახდინოს დემოკრატიამ და თუ დავიცავით ეს ცენტრი, მაშინ დემოკრატიის საქმეც გადარჩენილი იქნება, წინააღმდეგ შემთხვევაში დაღუპვა მოგველის, ამიტომ ჩვენ მხარს ვუჭერთ მთავრობის განცხადებას, რომელიც მოუწოდებს ეროვნულ საბჭოს ძლიერი მთავრობის შექმნისაკენ; რომ თვით ხალხში არ იყოს ასეთი მიმართულება, ამის შეგნება, მაშინ ძლიერი ცენტრის შექმნა შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ხალხში ამის შეგნება და საჭიროება არის და ეს შეიძლება. ჩვენი პარლამენტი არ არის ნამდვილი გამომხატველი ხალხის ნებისა, ის ამ მიზნით არ ყოფილა არჩეული, საბჭო დაახლოვებით წარმოადგენს ხალხის ნება-სურვილებს, ჩვენ ვცდილობთ ახლო მომავალში შევადგინოთ ისეთი პარლამენტი, რომელიც იქნება ნამდვილი გამომხატველი ხალხის ნება-სურვილებისა, მაგრამ სანამ ახალ ნამდვილ პარლამენტს შევადგენდით, მანამ საბჭომ უნდა შემოიკრიბოს თავის გარშემო ყველა საზოგადოებრივი ძალები და იმუშაოს საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცებისათვის. ახლა უნდა [illegible] ისეთი პირი, რომელიც ნამდვილი გამომხატველი ჩვენი დემოკრატიის სურვილების, ერთი პირი, რომელსაც ნდობით [illegible] ყველა პარტიებისაგან არის ნოე ჟორდანია (ხანგრძლივი ტაში). სხვადასხვა საჭიროება მოითხოვდა ნოე ჟორდანიას რევოლიუციონურ ორგანიზაციებში მუშაობას, ის იქ იყო და [illegible] მთავარი ბრძოლა [illegible]

ში გადადის, აქ უნდა დავაყენოთ ჩვენი ნოე. ამიტომ ს.-დემოკრატიული ფრაქცია წინადადებას აძლევს საბჭოს, რომ ამ მწვავე განსაცდელის დროს აღჭურვოს ის ყოველგვარი ნდობით და მთავრობის შედგენა მას მიანდოს. საჭიროა თვით ხალხის წარმომადგენლებმა აირჩიონ ჟორდანია და განსაკუთრებული უფლებები მიანიჭონ მას რესპუბლიკის მართვა-გამგეობის საქმეებში, ვინაიდან საჭიროა არა თუ თვით მთავრობამ შემოიკრიბოს ყველა დემოკრატიული ძალები თავის გარშემო, არამედ მთავრობაშიაც უნდა არსებობდეს მთლიანობა, ერთსულოვნება. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ ამ უდიდესი განცდის დროს ჩვენს წინააღმდეგ გამოილაშქრებენ ყველა ბნელი ძალები და ულირს აგიტაციას გაშლიან შეუგნებელ წრეებში, მაგრამ მეტი გზა არ მოგვეპოვება, ჩვენი პარტიის ინტერესი,—ეს ხალხის ინტერესია, ის (პარტია) უნდა მივიდეს ხალხთან და უხელმძღვანელოს მას. ბევრი მტერი მოგვეპოვება, ბევრიც აწი გამოგვიჩნდება და ყვავ-ყორნებივით სულ მუდამ თავს დაგვხაოდეს იქნება, მაგრამ მეტი გზა არ არის, ჩვენ უნდა ვუთხრათ ჩვენს ბელადს, რომ თუნდაც რომ დავმარცხდეთ, მაინც ამ გზით უნდა ვიაროთ, რადგანაც სხვა გამოსავალი [illegible] აღარ არსებობს. „ცუდათ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“-ო— ათავებს თავის სიტყვას ორატორი. (ტაში).

ვეშაპელი: (ნ. დ.) ეროვნ. დემ. სახელით აცხადებს, რომ მთავრობის კრიზისი არ არის გამოწვეული პარლამენტში ძალთა განწყობილებით და ამ რიგათ მთავრობის შედგენა არ შეესაბამება სახელმწიფოებრივ საფუძვლებს და ნორმებს.

ა. წერეთელი. (ს. ფ.) ყოველივე წინადადება, რომელიც შემოდის პარლამენტში თუ სხვაგან, უნდა იყოს გამოწვეული ობიექტიური პირობებით, ს.-დემოკრატების ფრაქციის მიერ შემოტანილი წინადადება სწორედ გამოწვეულია იმ პირობებით, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში, ის ანარქია, რომელიც მძვინვარებს საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში აუცილებლად უნდა მოისპოს, არა მარტო რეპრესიებით, არამედ სახელმწიფოებრივი ნორმების და საფუძვლების მიხედვით, ამიტომ საჭიროა ძლიერი მთავრობის შექმნა. ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ის, ვინც [illegible] დემოკრატიის [illegible], ის დღეს, ამ განსაცდელის დროს, თუ შესაძლებელია ხსნა იხსნის ქართველ დემოკრატიას. (ტაში.)

კ. ქავთარაძე (ლეონ.) ჩვენი ფრაქცია სავსებით მხარს უჭერს დემოკრატების მიერ შემოტანილ წინადადებას.

ი. ჩერქეზიშვილი (ს. რ.) მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ჩვენი მთავრობას ასე მალე მოუხდა გადადგომა. ის სავსებით მხარს უჭერს ს. რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით შემოტანილ წინადადებას.

ახმეტელაშვილი: ჩვენ მხარს ვუჭერთ წინადადებას იმდენად, რამდენად ის დემოკრატიის ინტერესების გამომხატველი იქნება.

ი. წერეთელს დემოკრატიულ ფრაქციის სახელით შეაქვს შემდეგი წინადადება: „მოისმინა რა მთავრობის განცხადება მისი გადადგომის შესახებ, საბჭო საჭიროთ სთვლის მიანდოს საბჭოს წევრს ნოე ჟორდანიას ახალი მთავრობის შედგენა და ანიჭებს მას საგანგებო უფლებებს მართვა-გამგეობის მოსაწესრიგებლად და გასაერთიანებლათ“.

ვეშაპელი აცხადებს, რომ კენჭის ყრის დროს ნაც. დემოკრატები თავს შეიკავებენ. წინადადება მიღებულ იქნა ერთხმად; მხოლოდ ნაც. დემოკრატებმა თავი შეიკავეს. წინადადების მიღების შემდეგ მთელი დარბაზი გაცხარებულად ტაშით, ოვაციას უმართავს ნ. ჟორდანიას.

საღამოს სხდომა.

თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი.

ნ. ჟორდანიას გამოსვლას მთელი დარბაზი ცხარე ტაშის ცემით ხვდება.

მოქალაქენო, საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრნო!

ჩვეულებათ არის მიღებული, რომ ახალი მთავრობა წარმოადგენს ახალ დეკლარაციას, თავის მოქმედების შესახებ. მე არავითარ დეკლარაციას არ წარმოვადგენ. ის ცვლილება, რომელიც დღეს აქ მოხდა არ არის პოლიტიკური ხასიათის, დღეს არავის დაუწუნებია ის დეკლარაცია, რომელიც ამ რამოდენიმე დღის წინეთ მთავრობამ გამოაქვეყნა. მინისტრებათ რჩებიან ისინი, ვინც იყვნენ დღემდის, რაც შეეხება მინისტროთა ამხანაგებს, იქ ცვლილება მოხდება და საბოლოოდ გამოირკვევა ხვალ. ეს ახალი კაბინეტი იქნება ორგანო ძალთა კონცენტრაციის, შეერთების. ჩვენ გვაქვს ერთი პარლამენტი და უნდა გვქონდეს ერთი აღმასრულებელი ორგანოც.

დღემდე მთავრობას არ ჰქონია ყველა ფუნქციები, არსებობდა სხვადასხვა რევოლუციონური ორგანიზაციები, რომლებიც ასრულებდნენ ზოგიერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციებს დღეს უნდა შეიქნას ერთი ორგანო, რომელიც გააერთიანებს ყველა ორგანოებს ერთ ცენტრში. რევოლიუციონურმა ორგანიზაციებმა გამოსთქვეს სურვილი სახელმწიფოებრივი ფუნქციები გადასცენ მთავრობას.

თუ მთავრობამ ვერ გაართვა თავი მართვა-გამგეობის საქმეებს და ფუნქციები ჯეროვნად ვერ შეასრულა, მაშინ ისევ რევოლიუციონურ ორგანიზაციებში გადავა ზოგიერთი სახელმწიფოებრივი ფუნქციები. ჩვენი ორგანო უნდა იყოს მარტივი და მასთან სწრაფი, არც ნამეტანი სიჩქარე ვარგა, მაგრამ არც დაგვიანება სასურველი. ამ მხრივ უნდა ითქვას სიმართლე, რომ ჩვენ ცოტა დავაგვიანეთ სოფლის ცხოვრების მოწყობაში და ამიტომაა, რომ ზოგიერთ ადგილას სოფლები ანარქიამ მოიცვა. ქალაქებმა კი, სადაც კულტ. და პოლიტიკური ცენტრები იყო, შესძლეს თავისი მართვა-გამგეობის საქმეების მოწყობა, ახრეთვე იმ სოფლებმაც, სადაც კულტურული ძალები იყო და ქალაქების ახლოს მდებარეობდენ თავს უშველეს, მოაწყვეს მართვა-გამგეობის საქმეები. ხოლო ის სოფლები კი, რომლებიც ამ მხრივ ჩამორჩენილი იყვნენ, ანარქიის ბუდეთ გადაიქცენ. ჩვენ ეხლავე უნდა მივაქციოთ ამ სოფლებს განსაკუთრებული ყურადღება და ანარქიას გამოვაცალოთ ნიადაგი. აგრეთვე განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრარულ კანონს. ჩვენ აგრარული კანონი გვაქვს, მაგრამ ის ცალმხრივია, რადგანაც იქ აღნიშნულია, თუ ვის რამდენი ჩამოერთვას და რამდენი დარჩეს; მაგრამ ვის მიეცეს—გლეხებს თუ სახელმწიფოს, ამის შესახებ უნდა გამოიცეს კანონი. მეორეთ ჩვენს სოფლებში არ არის სასამართლოები, გლეხმა არ იცის, ვის მიმართოს. კულტურულ სოფლებმა მოაწყვეს რევოლიუციონური სასამართლოები. იქ კი, სადაც შეუგნებელი გლეხობა იყო, გლეხმა აიღო თოფი ხელში და თვითონ გაუსწორდა მოწინააღმდეგეს. საჭიროა დაუყონებლივ სასამართლოების შექმნა. უნდა შემოღებულ იქნას ერობა. ამ რიგათ ჩვენ გამოვაცლით ნიადაგს იმ ანარქიას, რომელსაც ადგილი აქვს დღეს სოფლად. აგრეთვე ჩვენ მეტ ჩნია პირველ საჭიროთ შევქმნათ იძულებითი კანონი. თუ ეს არ გატარდა ცხოვრებაში, მაშინ მთავრობა თავის მიზნებს ვერ განახორციელებს. ამას წინეთ ჩვენ მივიღეთ კანონი სახალხო გვარდიის შესახებ, მაგრამ ეს არ კმარა. სახალხო გვარდიას უნდა მივმართოთ [illegible] განსაკუთრებულ საჭიროების დროს, თუ გვარდია მუდმივ აქ იქნა ეს შეაფერხებს მრეწველობას, მუშაობას, ვინაიდან გვარდიაში მყოფი ხალხი მუშებია. საჭიროა შევქმნათ მუდმივი ჯარი და გვარდია გავუშვათ სამუშაოთ. ასეთია მოკლეთ ის პრაქტიკული ნაბიჯები, რომელიც უნდა გადაიდგას ამ ახლო მომავალში. ეს მაშინ შეიძლება, როცა პარლამენტთან ერთად სხვა ძალებიც შემოკრბებიან მთავრობის გარშემო. ხოლო მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ან მთლად განვამტკიცებთ დემოკრატიულ რესპუბლიკას, ან მთლად დავიღუპებით. ბედი რევოლიუციონური ორგანიზაციების და მთავრობისა ერთმანეთთან გადაჯაჭვულია, ერთის დაღუპვა, მეორის დაღუპვაც არის და ამიტომ მათ ხელიხელ ჩაკიდებული უნდა იარონ (ტაში).

ს. ფირცხალავა (ს.-ფ.). დეკლარაციაში, რომელიც წაკითხულ იქნა წინათ საბჭოს წინაშე გამოითქვა ის აზრი და გეგმა, რომელიც უნდა აწარმოვოს მთავრობამ. ჩვენი აზრით, რომ მტკიცე მთავრობა უნდა ეყრდნობოდეს პროვინციებში კარგად მოწყობილ აპარატებს. ს.-ფედერალისტების ფრაქციას სრული იმედი აქვს მოქალაქე ნ. ჟორდანიასი, რომელსაც არა ერთხელ დაუმტკიცებია ქართველი ხალხისადმი თავისი სიყვარული და ერთგულება, რომ ის გამოიყვანს ჩვენს ხალხს იმ უბედურებისაგან, რომლის წინაშე ის დღეს იმყოფება (ტაში)

ირ. წერეთელს სოც.-დემოკრატიული ფრაქციის სახელით შემოაქვს შემდეგი წინადადება: „მოიწონა რა ახალ მთავრობის თავმჯდომარის განცხადება, ეროვნული საბჭო უცხადებს მთავრობას სრულ ნდობას და აღუთქვამს მას დახმარებას წამოყენებულ გეგმის განხორციელებაში“.

(25 ივნისის სხდომა).

თავმჯდომარეობს ი. ბარათაშვილი.

გასარჩევია მთელი რიგი საკითხებისა, რომლებიც საბჭომ სათანადო კომისიებში გადასცა.

შემდეგ ერთხმად დამტკიცებულ იქნა საბჭოს მიერ საბიბლიოთეკო და სარედაქციო კომისიების წევრთა სია. საბიბლიოთეკო კომისიაში არჩეულ არიან: არჩილ ჯაჯანაშვილი (ს. ფ.), ექვ. თაყაიშვილი (ნ. დ.) და ოლღა სოლომონიშვილი (ს. დ.). სარედაქციო კომისიაში არჩეული არიან: რ. არსენიძე (ს. დ.), მ. რუსია (ს. დ.), ვეშაპელი (ნ. დ.), ს. ფირცხალავა (ს. ფ) და გ. ნათაძე (ს. რ.).

მორიგი საკითხია სახელმწიფო კონტროლიორის არჩევა.

ი. წერეთელი სახელმწიფო კონტროლიორის არჩევა ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია და რადგანაც ფრაქციათა შორის ამ საკითხში შეთანხმება არ მოხდა, მე წინადადება შემომაქვს კონტროლიორის არჩევა გადავდვათ შემდეგი სხდომისათვის.

გ. ქიქოძე (ნ. დ), საკითხი უნდა გადაიჭრას დაჩქარებით, მოვითხოვ, კრება შეწყვეტილ იქნას ნახევარ საათით და ფრაქციებმა მოილაპარაკონ.

ირ. წერეთელი: ორი დღით რომ გადავდვათ კონტროლიორის არჩევა სჯობია, ვინემ ნაჩქარევათ მოვახდინოთ ეს და უკეთესი კანდიდატი აურჩეველი დარჩეს. კონტროლიორის არჩევა საბჭომ გადასდვა შემდეგი სხდომისათვის.

აკ. ს—უა.

გიორგი ვალენტინეს ძე პლეხანოვი

(1857—1918)

ისეთი ადამიანი გარდაიცვალა, რომლის ნამდვილი დაფასება დღეს-დღეობით კიდევ არ შეუძლია რუსეთის დემოკრატიას და რუსეთის ხალხს. ისეთი ღრმა მოაზროვნე გონების მუშაობა შეჩერდა, ისეთი მახვილი ენა დადუმდა, რომლის მაგიერი საუკუნოებით თუ მოივლ ნება კაცობრიობას. რუსეთის მუშათა კლასმა და დემოკრატიამ დაკარგა გიორგი ვალენტინის ძე პლეხანოვი.

ვინ იყო გ. პლეხანოვი?

განა ეს საკითხავია? გადაშალეთ რუსეთის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის ისტორია, გადაიკითხეთ მისი თითეული ფურცელი და მიიღებთ გიორგი პლეხანოვის სახეს. ის იყო ერთი დამაარსებელთაგანი და პირველი თეორეტიული დამსაბუთებელი რუს. სოც.-დემ. ჯგუფისა, რომელსაც „შრომის განთავისუფლების ჯგუფი“ ერქვა სახელათ.

ეს ჯგუფი პირველი მერცხალი იყო მარქსისტულ აზროვნებისა რუსეთში. პირველი კავშირი, რომელმაც ნაროდნიკულ მიმდინარეობის ზურგსი გაარღვია და რევოლიუციურ მუშათა კლასს სწორ გზაზე მიუთითა. და პირველი მკვეთრი მახვილი მწერლი კრიტიკისა გ. პლეხანოვმა იმ აზროვნების სიმრუდის გამოაშკარავებისაკენ მიმართა, რომლის წიაღიდან წარმოიშვა ახალი საზოგადოება, და რომელსაც იგი თვით ეკუთვნოდა. რევოლიუციური უტოპიზმი იყო პირველი საგანი მისი ბრძოლისა იმ ხანათ და ამას უძღვნა მან თავისი ცნობილი ნაწერები: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“, „ჩვენი უთანხმოებანი“, რომელნიც დაედვენ მკვიდრ საფუძვლად მარქსისტულ მოძღვრებას და მოძრაობას. ეს იყო 1883 წელს.

აქედან დაწყებული იგი სისტემატიურათ აშუქებდა მარქსისტულ აზროვნების დიადი ლამპარით რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას და გზას უწმენდდა ახლად ფრთა-გაშლილ მუშათა მოძრაობას. მის ყოველდღიურ კითხვების გარკვევას უძღვნა მან რიგი წერილებისა ს.-პეტერბურგში გამოცემულ ჟურნალ „მუშაში“.

შემდეგში მისი თანამშრომლობით გამოდიოდა „ბიბლიოთეკა მეცნიერულ სოციალიზმისა“. კრებული და ჟურნალი „სოციალდემოკრატი“ (1894), „მუშაკი“ (1898 წ.) „მუშაკის ფურცელი“ და შემდეგ „ნაპერწკალი“ („ისკრა“) 1901—3 წ. და „განთიადი“ (ზარია). „ისკრის“ თანამშრომლებთან ერთად მან დიდი მონაწილეობა მიიღო ს.-დემოკრატიის პარტიის პროგრამის შემუშავებაში, რომელიც პარტიის მე 2 ყრილობაზე 1903 წელს მიღებულ იქნა. ამ ყრილობაზე იგი არჩეულ იქნა ცენტრალურ ორგანოს რედაქტორათ და „პარტიის საბჭოს“ წევრათ.

გარდა რუსეთისა, გ. ვ. პლეხანოვი ფართე მონაწილეობას იღებდა ევროპის მუშათა მოძრაობაშიაც. 1891 წლიდან დაიწყო მისი თანამშრომლობა გაზეთ „ნოიე ცაიტში“ („ახალი დროება“), და თავის ღრმა-აზროვან წერილებით დიდი სამსახური გაუწია ევროპის მუშათა რევოლიუციურ აზროვნების შემუშავებას. ისეთმა შრომებმა როგორიცაა „ანარქიზმი და სოციალიზმი“, „ეტიუდები მატერიალიზმის თეორიიდან“, წერილები ბერნშტეინის წინააღმდეგ და სხვები, მას მოკლე ხანში საუკეთესო თეორეტიკოსის სახელი მოუხვეჭეს ევროპის მუშათა ხელმძღვანელებ შორის... იგი ამით საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის ერთ უდიდეს ბელადათ გადაიქცა.

განსაკუთრებულ ღირსებას მისი ნაწარმოებებისას შეადგენს მარქსიზმის სწორი გაგება და დიალექტიური მეთოდის საუცხოვო მოპარჯვება...

გ. ვ. პლეხანოვი დაიბადა 1857 წელს ტამბოვის გუბერნიაში. ტამბოვში დაასრულა იუნკერთა სასწავლებელი და პეტერბურგში შევიდა სამთო ინსტიტუტში. აქ პირველათ გაეცნო ნაროდნიკებს და მათ რაზმში ჩამდგარი შეუდგა რევოლიუციურ მოღვაწეობას.

1876 წელს 6 დეკემბერს ახალგაზრდა პლეხანოვი მონაწილეობას იღებს ყაზანის მოედანზე გამართულ პირველ დემონსტრაციაში. ამ დემონსტრაციაზე გ. პლეხანოვმა წარმოთქვა მხურვალე სიტყვა. დემონსტრანტებს პოლიცია დაესხა და გაფანტა. გ. პლეხანოვი გადაიმალა და ერთ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა მალულათ.

ნაროდნიკთა წრეებში ის პირველათ ეკუთვნოდა „მიწა და თავისუფლების“ ჯგუფს, და მათ გაზეთში, რომელიც ამ სახელით გამოდიოდა, საპროგრამო წერილები მოათავსა.

ქალაქებში, სადაც პლეხანოვს უხდებოდა რევოლიუციური მოღვაწეობა, ის მუდამ მუშათა წრეებში ტრიალებდა, ქარხანა-ფაბრიკის ცხოვრების პირობებს ეცნობოდა, და აი აქ ჩაეყარა პრაქტიკული საფუძველი იმ თეორეტიულ შენობას, რომელიც გ. პლეხანოვმა შემდეგ ასეთი ღრმა ცოდნით და ძლიერი კალმით ააგო: აქ დაედვა საფუძველი მის მომავალ მარქსისტულ მოღვაწეობას. უკვე ნაროდნიკათ ყოფნის დროს ამჩნევს ის მთავარ ნაკლს ნაროდნიკების ბუნტარულ ტაქტიკისას და მიისწრაფის მუშათა კლასობრივ შეგნებას მიანიჭოს შესაფერი ადგილი რევოლიუციურ მუშაობაში.

1878—9 წლებში ის გამუდმებით პეტროგრადის მუშებში ტრიალებდა. მათთან ერთათ ჩაატარა გაფიცვები, იმუშავებდა მოთხოვნილებებს, აწყობდა გეგმებს და სხვ. ამიტომ იყო, რომ როცა „მიწა და თავისუფლების“ ჯგუფმა გლეხების განათლების მიღწევაში გულგატეხილებმა მთავრობის დასჯას მიყვეს ხელი, ტერორი აღიარეს რევოლიუციურ მუშაობის ქვაკუთხედათ, გ. პლეხანოვი სასტიკათ წინააღუდგა ასეთ გზას და მასსის თვითმოქმედების და შეგნებულ რევოლიუციონერების დამცველათ დარჩა.

ვორონეჟის ყრილობის შემდეგ, როცა გადაწყდა, რომ თუმცა ტერორის სისტემით გადაჭრევა არ შეიძლება, მარა ალექსანდრე მეორე მაინც უნდა მოკლულ იქნესო, გ. პლეხანოვმა, მიუხედავათ ასეთი კომპრომისისა, დასტოვა პარტია.

აქედან გაემგზავრა კიევში და შემდეგ პეტროგრადში, სადაც შეხვდა უცხოეთიდან ჩამოსულ რევოლიუციონერებს: ვერა ზასულიჩს, ლ. დეიჩს, ლ. სტეფანოვიჩს, და რაკი მათ შორის სრული აზრთა სოლიდარობა აღმოჩნდა, აქ მათ გადასწყვიტეს ახალი ფრაქციის დაარსება და „ჩორნი პერედელი“-ს გამოცემა, უნდოდათ შეედგინათ ძველი მეთოდი: ხალხში სიარულის და პროპაგანდის. მაგრამ ახალგაზდობას ამ ჟამათ უკვე აღარ ჰქონდა სურვილი სოფლათ უნაყოფო შრომისა. გაზ. „ჩორნი პერედელ“ (შავი გადამიჯვნა) პირველი ნომერი პოლიციამ დაიჭირა, ასოთამწყობი სუსტი ადამიანი აღმოჩნდა და თანამშრომლები გასცა. ეს იყო 1880 წლის 28 იანვარს. გ. პლეხანოვი იძულებული შეიქნა საზღვარგარეთ გადახვეწილიყო და მას შემდეგ რუსეთში აღარ დაბრუნებულა, სანამ ცარიზმი არ დაემხო 1917 წელს. საზღვარ-გარეთ პლეხანოვი ერთხანს განაგრძობდა „შავი გადამიჯვნის“ გამოცემას, შემდეგ ცდილობდა სოც.-დემოკრატიის ფრაქციის სახით შესულიყო ტიხომიროვის ჯგუფში, რომელიც სცემდა ჟურნალს: „უწყება ხალხის ნების“, მაგრამ მალე იძულებული შეიქნა რედაქციას გასცლოდა, რადგან მისი სოციალდემოკრატიული აზროვნება, რომელიც მან საზღვარგარეთ ყოფნის დროს შეიმუშავა მარქსიზმის საფუძვლიანათ შესწავლის შემდეგ, ნაროდნიკების მსოფლმხედველობას ვერ ეგუებოდა.

ამ წელსვე გ. პლეხანოვი თავის ამხანაგებთან ერთად გამოდის „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის სახელით. ეს ამხანაგები იყვნენ: პ. აქსელროდი, ვ. ზასულიჩი, ლ. დეიჩი და იგნატიევი. პლეხანოვის პირველი მარქსისტული ნაწარმოები: „სოციალიზმი და პოლიტიკური ბრძოლა“ რომელიც „ხალხის ნების უწყებებში“ უნდა გამოსულიყო, გამოიცა ამ ჯგუფის სახელით.

ამ პირველ მარქსისტულ ჯგუფს დიდი ბრძოლა მოუხდა ნაროდნიკებთან, რომელნიც მათ რევოლიუციურ ტრადიციების ღალატს აბრალებდენ. სრულიად ახალი ძირითადი დებულებები წამოაყენა ამ ჯგუფმა: მან აღიარა პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები, რასაც ნაროდნიკები უარყოფდენ, მან პირველად დასახა მთავარ რევოლიუციონურ კლასათ პროლეტარიატი, წინააღმდეგ გლეხობისა, რომელთა თემურ წყობილებაზე ამყარებდენ თავის იმედებს ნაროდნიკები. ბოლოს მათ აღიარეს აუცილებლობა და რევოლიუციური როლი კაპიტალიზმის განვითარებისა რუსეთში, რასაც ნაროდნიკები დიდ უბედურებათ თვლიდენ და შეუძლებლათაც მიაჩნდათ.

მუშათა ლიტერატურის გამოცემა ამ ჯგუფს არ დასცალდა, რადგან მალე ლ. დეიჩი, ორგანიზატორი ჯგუფისა მეფის ჟანდარმებს ჩაუვარდა ხელში და 16 წლის კატორღა მიიღო.

ჯგუფმა მაინც ჩაუყარა საფუძველი თვით რუსეთში ისეთ წრეების შექმნას, რომელნიც სოც. დემ. იდეებს შეიტანდნენ მუშათა მასსაში. 1885 წელს უკვე პეტროგრადში გამოდის გაზეთი „მუშა“ გ. პლეხანოვის თანამშრომლობით.

ამავე დროს გ. პლეხანოვი ცდილობდა ნემეცურ ჟურნალებში თანამშრომლობით ლეგალურ აზროვნებაზედაც გავლენა მოეხდინა.

უკვე 1881 წელს „ოტეჩ. ზაპ.“-ში მოათავსა მან წერილი: „ახალი მიმართულება პოლიტიკურ ეკონომიის სფეროში“ 1883 წ.: „კარლ როდბერტუსის იაგტოვის ეკონომიური თეორია“ დასტამბა. „შემდეგ მოყვა წერილები: „ხელოვნებაზე“: „რუსეთის კრიტიკის ბედი“ და სხვ.

მეოთხმოცდა ათე წლებში გამოვიდა მისი კაპიტალური შრომები: ბელტოვი: „Къ вопросу о развитіи монистическаго взгляда на исторію“ და ვოლგინის: „Обоснованіе народничества въ трудахъ В. В.“.

მთავრობამ პირველი წიგნი აკრძალა, თუმცა იგი ფილოსოფიური შინაარსის იყო და მიხაილოვსკის კრიტიკას შეიცავდა.

შემდეგ მრავალ ჟურნალ-გაზეთებში იღებდა მონაწილეობას, რომლებზედაც თავში მოვიხსენიეთ. მისი კრიტიკული წერილები, განსაკუთრებით ეხებიან მარქსიზმის საფუძვლების გარკვევას და უსაფუძვლო კრიტიკოსების ყალბ შეხედულებათა დარღვევას და დღემდე საუკეთესო ნაწარმოებათ ითვლება მარქსისტულ თეორიულ ლიტერატურაში.

გ. პლეხანოვის ცხოვრებიდან აღსანიშნავია 1889 წელს მონაწილეობა პარიზის ინტერნაციონალურ კონგრესზე, სადაც მან წინასწარმეტყველურათ განსჭვრიტა რუსეთის რევოლიუციის მომავალი: „სოციალისტებმა უნდა შეითვისონ შეხედულება თანამედროვე მეცნიერულ სოციალიზმისა, გაავრცელონ ის მუშათა წრეებმა და მუშების დახმარებით იერიშით აიღონ სიმაგრე თვითმპყრობელობის. რევოლიუციურ მოძრაობას რუსეთში შეუძლია გაიმარჯვოს, მხოლოდ როგორც რევოლიუციურ მოძრაობას მუშათა კლასისა. სხვა გამოსავალი ჩვენ არ გვაქვს და არ შეიძლება გვქონდეს“.

დღიდან „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის დაარსებისა გ. პლეხანოვს არ დაუგდია ხელიდან კალამი და თავის ლამაზ, მჭერმეტყველური ენით არკვევდა მარქსისტულ თვალსაზრისით ყველა თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოვლენებს რუსეთის ცხოვრებისას. უკანასკნელ დროს იბეჭდებოდა მისი კაპიტალური შრომა: „ისტორია საზოგადოებრივ აზროვნების რუსეთში“. ამასთანავე იგი იყო სულის ჩამდგმელი მარქსისტულ არალეგალურ ჟურნალ-გაზეთებისა. როცა მუშათა მოძრაობაში გასულ საუკუნის დასასრულს თავი იჩინა ეგრედწოდებულმა ეკონომიზმმა, გ. პლეხანოვმა მთელი წიგნი: „ვადემეკუმი“ უძღვნა მას და არსებითად გაარჩია მისი ყოველი ნაკლი. მეორე ყრილობის შემდეგ 1903 წელს, როცა პარტია ს. დ. გაიყო ორ ფრაქციათ, გ. პლეხანოვი არც ერთ ფრაქციას სავსებით არ მიკედლებია, თუმცა იგი ყოველთვის უფრო ახლო იდგა იმ მიმდინარეობასთან, რომელსაც მენშევიზმის სახელი ერქვა. მათი ტაქტიკური ხაზი მას მარქსისტულ ხაზათ მიაჩნდა. ლენინის ტაქტიკა კი წვრილ ბურჟუაზიულ და ბუნტარულ ტაქტიკათ. ახლა ყველა ხედავს, რამდენათ სწორი აღმოჩნდა მისი სიტყვები და მისი კრიტიკა. ამ ხნის განმავლობაში ის სცემდა სოც.-დემ. დღიურს და რამდენიმე ბროშიურა გამოსცა ტაქტიკის შესახებ. უკანასკნელი ომის დაწყებისთანავე მან სრული სისწორით აღნიშნა გერმანიის საფრთხე რუსეთისათვის, მაგრამ მისი ღრმა ანალიზი ვერ იქნა შეთვისებული რუსეთის მუშათა მასსისაგან. თვითმპყრობელობის სისასტიკესთან ბრძოლით გატაცებული მუშათა კლასი არ დაადგა იმ სახელმწიფოებრივ გზას, რომელსაც სწორათ გაგებული კლასობრივი ინტერესები უკარნახებდა მას. შედეგი ჩვენ უკვე ვიცით.

გ. პლეხანოვმა, რომელიც შეურიგებელი მტერი იყო თვითმპყრობელობის იხილა დამხობა ამ საშინელი მტრის, მან, რომელიც ასე უნაყოფოთ იწვევდა რუსეთის მუშათა კლასს ამ ბოლო დროს ომის საშინელების შეგნებისაკენ, იხილა ნაყოფი იმ ბუნტარულ ტაქტიკის, რომელმაც გაამართლა მისი შეხედულება, მაგრამ მსხვერპლათ შეიწირა ის რუსეთი, რომელიც გ. პლეხანოვს მთელი თავის არსებით უყვარდა.

თვითმპყრობელ რუსეთიდან გადახვეწილი ამ 38 წლის წინეთ, იგი დაბრუნდა უკან თავისუფალ რუსეთში, რომ მის ნანგრევებზე დაელია სული. მუშათა კლასი დღეს კიდევ ვერ იგრძნობს, რა დიდი ნიჭი და შეუდარებელი მასწავლებელი დაკარგა მან. და ის უხეში მუშები, რომელნიც სნეულს საჩრეკათ ეწვიენ წითელ გვარდიელების სახით, ვერ იგრძნობენ, რა გეროსტრატისებური და კიდევ უარესი უგნურება ჩაიდინეს, რომ სამარცხვინო სახელით შესულიყვნენ ისტორიაში. შეგნებულ მუშათა კლასს დღეს ძაძით შემოსვის სრული უფლება აქვს. დიდებული მარქსიზმის, სულიერი მამა და აღმზრდელი სოც.-დემ. პარტიის —ჩაესვენა სამარეში. განსაკუთრებით უნდა იგრძნონ ეს კავკასიის მუშებმა, რომელნიც მას თავის უდიდეს მასწავლებლათ აღიარებდნენ. და რომლისა ადგილობრივი ხელმძღვანელი [illegible] ნაწილიდან გამომდინარე [illegible] პლეხანოვი მოკვდა 1918 წელს, რევოლიუციის განსაცდელის დღეებში, როცა მუშათა კლასს მისი მჭრელი გონება და შეუდარებელი მკვეთრი ანალიზი ასე ეჭირვება..

„პირველი ყრილობა საქართველოს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებისა გამოსთქვამს უღრმეს მწუხარებას დიდებული მასწავლებლის მუშათა კლასისა და რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დამაარსებელი გიორგი ვალენტინეს-ძე პლეხანოვის გარდაცვალების გამო, რომლის ხსოვნას ყრილობამ ფეხზე ადგომით სცა პატივი“.

გორი. გორის მაზრის წითელ გვარდიელთა შტაბის წარმომადგენელთა სიეზდი, ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს, რუსეთის სოციალ დემოკრატიულ პარტიის დამაარსებელი და ერთი საუკეთესო წარმომადგენლის სოციალიზმისა გ. ვ. პლეხანოვის გარდაცვალების გამო. რევოლიუციონური დემოკრატია არ დაივიწყებს იმ ადამიანს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა მუშათა კლასისა და მთელი დემოკრატიის სამსახურს.

დეპეშები

(ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტო).

23 ივნისი.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი საარტილერიო მოქმედება ზღვის ნაპირას თანდათან ძლიერდება. მდ. იორდანეს მარჯვენა ნაპირას სიწყნარეა.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. არასისა და ალბერის შუა მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშები გაგრძელდა დილამდე. ვერც ერთი იერიშით მოწინააღმდეგემ გამარჯვებას ვერ მიაღწია. სკარპის ორივე ნაპირას, ხელჩართულ ბრძოლით მოვიგერიეთ ინგლისელების რაზმები. სხვა ფრონტებზედაც ინგლისელების დამზვერავი რაზმის მოქმედება არ დამთავრდა გამარჯვებით. სომმას სამხრეთით კონტრ იერიშის დროს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეები. პრიუჟეში მოწინააღმდეგის აეროპლანებმა ზარალი მიაყენეს მოქალაქეებს.

ნუაიონის დასავლეთით მოწინააღმდეგემ განმეორებით დაიწყო იერიშები. ვილლერ-კოტრეს სამხრეთით მტერმა დიდი ბრძოლის უნარი გამოიჩინა. ფრანგების დამზვერავ რაზმებს თავდასხმა არ დასრულდა გამარჯვებით ფრანგების და ამერიკელების ნაწილობრივი იერიშები შატო ტიერის ჩრდილო დასავლეთით მოვიგერიეთ, მათ დიდი ზარალი მივაყენეთ.

მოსკოვი. გრაფ მირბახს ჩვენ გავუგზავნეთ შემდეგი ნოტა: „ჩვენსა და გერმანიის შორის დადებულ ხელშეკრულობის ძალით ყოველგვარი სამხედრო მოქმედება გერმანია-უკრაინ. ფრონტებზე უნდა შეწყვეტილიყო, უკეთუ თავიდან აცილებული იქნებოდა ის მუქარა, რომელსაც გერმანია ხედავდა ნოვოროსიისკში შეფარებულ რუსეთის ფლოტის სახით. ამ ჟამად რუსეთის მთავრობის ბრძანების თანახმათ შავი ზღვის ფლოტის ნაწილი დაბრუნდა სევასტოპოლში, დანარჩენი კი მეზღვაურებმა ააფეთქეს. ასე რომ, შავი ზღვის ფლოტის სახით მუქარა გერმანიისადმი მოსპობილია. მიუხედავათ ამისა გერმანელების მიერ დესანტის გადმოსხმა და ნოვოროსიისკის მიმართულებით შეტევა გრძელდება. რუსეთის მთავრობა მოითხოვს, რათა გერმანიის შემოტევა რუსეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილებში შეჩერებულ იქნას და სთხოვს გრ. მირბახს მიაქციოს გერმანიის მთავრობის ყურადღება, რათა ასრულებულ იქნას დადებული ხელშეკრულება. საგარეო საქმეთა კომისარი ჩიჩერინი.

ამსტერდამი. გერმანიის და ჰოლანდიის მთავრობათა შორის მოლაპარაკება სწარმოებს რათა უზრუნველყოფილ იქნას გემთა მიმოსვლის საქმე ჰოლანდიისა და სკანდინავიის ქვეყნებს შორის. როგორც ფიქრობენ, მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდება.

24 ივნისი.

ბერლინი. დასავლეთის ფრონტი. სომის ორივე ნაპირას სწარმოებდა მტრის გაცხოველებული მოქმედება. ფრანგების იერიშები მარნის სამხრეთ-დასავლეთით მოვიგერიეთ. რეიმსის სამხრეთ-დასავლეთით იერიშების დროს ჩვენ ტყვეთ წამოვიყვანეთ 36 იტალიელი.

ვენა. პიავესთან ბრძოლა გუშინ არ იყო სასტიკი, მხოლოდ ჩვენი ფრონტის სამხრეთ ნაწილში მტერი შეეცადა შემოტევას. დანარჩენ ნაწილებში საარტილერიო სროლაა. ნიაღვარმა წალეკა ვენეციის ოლქის დიდი ნაწილი და გაუძნელა ჯარს მოქმედება. მდ. პიავე გადიდდა, ხშირათ მეორე ნაპირას გადასვლა შეუძლებელი ხდებოდა. ჯარისათვის სურსათისა და იარაღის მიწოდება მეტად ძნელია.

სტამბოლი. პალესტინის ფრონტი. ზღვის ნაპირიდან მდ. იორდანამდე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა. მტრის ბანაკს ჩვენ დაუშინეთ არტილერია. მდ. იორდანის რაიონში იერიხონის ახლოს მფრინავების გაძლიერებული მოქმედება გრძელდება.

ბერლინი. ფრონტებიდან არავითარი ახალი ცნობა არ მოსულა.

უკანასკნელი ცნობები

ბაქოს ფრონტი

ამიერ კავკასიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით ნური-ფაშამ განკარგულება გასცა, რომ ელისავეტპოლს განჯა დაარქვან. სადგურზე რუსული წარწერები წაუშლიათ და დაუწერიათ თათრული.

ევლახში მტკვრის ხიდზე ოსმალთა ჯარისკაცები სჩხრეკენ ბაქოს მიმართულებით მიმავალ მგზავრებს.

ბაქოს წინააღმდეგ მომქმედ ოსმალთა ჯარებს ხელმძღვანელობს ნური-ფაშა.

19 ივნისს ღამით საგანგებო მატარებლით, ნური ფაშა ფრონტისკენ გაემგზავრა. მას თან ახლავს მუსულმანთა კორპუსის უფროსი გენ. შიხლინსკი, ქიურდამირიდან გამოქცეულები ამბობენ, რომ ოსმალთა ჯარები გაჩერდენ სად. ბარგუშეთში, მიუსიულში და ყუჯარაშიო. აქედან ჯარები წასულან—ერთი ნაწილი სამხრეთით, მეორე ნაწილი ჩრდილოეთით. მიუსიულში დარჩენილ ჯარებს ბრძოლა დაუწყიათ ბაქოს ჯარებთან.

16—17 ივნისს მიუსიულის მახლობელ სადგურებზე ოსმალების მხრით ნელი საარტილერიო სროლის ხმა მოისმოდა. ბრძოლის შედეგი არ იციან.

მუსულმანთა კორპუსის მთელი არტილერია ამ ჟამად ფრონტზეა და ექვემდებარება ოსმალთა სამხედრო შტაბს.

ოსმალთა ჯარების საერთო რაცხვი, რომლებიც განჯიდან მიდიან ამ რაიონში 5 ათას კაცს არ აღემატება.

18 ივნისს ყუჯარიდან განჯაში სამგზავრო მატარებლით მოიყვანეს დაჭრილი ოსმალთა ჯარისკაცები.

აგდაშის და არეშის მაზრის მუსულმანებმა საჩუქრები გაუგზავნეს შემახის მიმართულებით ბაქოზე მიმავალ ოსმალთა ჯარებს.

ახალი ამბები

გერმანიის სამხედრო დელეგაცია ჩამოვიდა თფილისში. სამხედრო დელეგაცია შესდგება 25 ოფიცრისაგან გენერალ მაიორ ფონ-კრესსის მეთაურობით. გერმანიის დელეგაციაში შედიან 7 ავსტრიელი და 5 ბულგარელი ოფიცრები გენერალის მეთაურობით.

◆ **სამკურნალო წყლები.** ეროვნულ საბჭოს აგრარულმა კომისიამ 21 ივნისის სხდომაზე განიხილა და მოიწონა მთავარი დებულებანი მთავრობის კანონპროექტისა, რომლის ძალით სამკურნალო აბაზანები, ტალახები და წყლები სახელმწიფოს განკარგულებაში უნდა იქნეს გადაცემული.

◆ **ახალი მთავრობა.** ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით შედგარ მთავრობაში ძველი მინისტრები თავიანთ ალაგებზე დარჩნენ. ცვლილება მოხდა მხოლოდ მინისტრთა ამხანაგების შემადგენლობაში. შრომის მინისტრის ამხანაგათ მოწვეულ იქნა გ. ერაძე, მიწათმოქმედების მინისტრის ამხ. პ. გელეიშვილი, შინაგან საქმეთა—გ. მახარაძე, სამხედრო მინისტრის—გენ. ოდიშელიძე, გარეშე მინისტრის ამხანაგებათ კ. გვარჯალაძე და ავალიშვილი, გზათა მინისტრის ამხანაგებათ ჩალანია და საბაშვილი.

◆ **სამხედრო სამინისტროდან შეწირული ორდენების მოპარვის შესახებ** ამ დღეებში ზოგიერთ გაზეთებში ცნობა იყო მოთავსებული. სამხედრო სამინისტრო გადაჭრით აცხადებს, რომ ასეთი ცნობა სრულიად არ შეესაბამება სინამდვილეს. ეს ალბათ იმ მიზნითაა გაზეთში დაბეჭდილი, რომ ხელი შეუშალონ [illegible] პირებმა ოქროს ფონდის სასარგებლოთ შეწირვის საქმეს. სამხედრო სამინისტროდან არავითარი ორდენები არ მოუპარავთ. ასეთი ხმების გავრცელების საბაბი, ალბათ, იმ გარემოებამ მისცა, რომ ამას წინეთ სამხედრო სასანიტარო სამმართველოდან მოიპარეს ორდენები, რასაც არავითარი კავშირი არ აქვს სამხედრო სამინისტროში შეწირულ ორდენებთან.

◆ **ყალბი ფულის კეთებისათვის** 22 ივნისს 1 და 2 კომისარიატის მილიციონერებმა დააპატიმრეს ფ. კარძაია, აკ. ატოიანცი და ევგენი ჯანელიძე, რომელთაც გაჩხრეკის დროს აღმოაჩნდათ 38,000 მანეთი რუსული ფული.

◆ **ლტოლვილები.** 23 ივნისს სანაინიდან თფილისში ჩამოიყვანეს 400 სომხის ბავშვები, რომელნიც მოათავსეს სომხების საქველმოქმედო საზოგადოებასთან არსებულ თავშესაფარში.

◆ **მილიციონერის მოკვლა** 23 ივნისს საღამოს 7 საათზე სალტიკოვის ანგტერის წინ, ვიღაც დუმბაძემ მოჰკლა უფროსი მილიციონერი კუკულავა.

◆ **ბორჩალოს მაზრის კომისარათ** დაინიშნა პოლკოვნიკი გორგაძე.

◆ **დამცველ შტაბმა** დააპატიმრა პ. ნიკოლაენკო სახაზინო ფულის გაფლანგვისათვის და პრაპ. მ. ჯანელიძე წითელ გვარდიელის მოკვლისათვის.

◆ **ბაკურიანში** ლტოლვილთა შორის შიმშილობა, რაც ხელს უწყობს სხვადასხვა სენის გავრცელებას: მძინვარების სახადი.

◆ **კულტურის და შრომის კავშირის** საერთო კრება, რომელიც უნდა გამართულიყო თიბათვის 23-ს, გადაიდო ვლ. გობეჩიას დაკრძალვის გამო და გაიმართება ხუთშაბათს, თიბათვის 27-ს, საღამოს სწორედ 7 საათზე, ქართულ კლუბის საზამთრო ბინაზე.

◆ **მუშტაიდის დემოკრატიული კლუბი.** მეორე რაიონის ს. დ. მ. პ. კოლექტივის ნივთიერ საშუალებათა გასაძლიერებლათ, ოთხშაბათს, 26 ივნისს, საღამოს 8 საათზე ბ. კ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით მართავს კონცერტს. ბილეთები იყიდება მე-2 რაიონის კოლექტივის ბიუროს ბინაზე (სახალხო სახლი) დილის 10—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

◆ **ლექცია მ. ნ. სმირნოვისა და ვ. თევზაიასი,** რომელიც უნდა გამართულიყო კვირას, 23 ივნისს, გაიმართება 29 ივნისს, კავკასიის ექიმთა საზოგადოების დარბაზში, (პუშკინის სამკითხველოს ზემოთ). ბილეთები იყიდება „ბორბას" კანტორაში.

◆ **მუშათა კლუბში** დღეს, 26 ივნისს რუსულ დრამატიულ არტისტების მიერ გაიმართება წარმოდგენა. დასაწყისი საღ. 8 საათზე. ბილეთების ფასი 2 მანეთიდან 50 კაპეიკამდე.

კრებები და მიტინგები

დღეს საღამოს 5 ნახ. საათზე შესდგება მეოთხე რაიონის კოლექტივის კრება.

— დღეს, 3 საათზე შესდგება საზოგადო პარტიული კრება ნათლულის რაიონისა. ბინა სადგურის უკან სასურსათო ნაწილში. გასარჩევია: მეშვიდე რაიონის შექმნა; მცირე კოლექტივი და კოლექტივის წევრების რეორგანიზაცია.

— დღეს, 26 ივნისს საღამოს 7 საათზე სახალხო თეთრ დარბაზში შესდგება თფილის მუშ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კრება.

— 26 ივნისს, საღამოს 6 საათზე შესდგება კრება თავმჯდომარეებისა და მდივნებისა ყველა პროფესიონალურ კავშირებისა. კავშირების ბინაზე (პეტრე დიდის ქუჩა 18).

დუშეთის მაზრაში

იმ დღე-დან, როცა დუშეთის მაზრაში ხმა გავრცელდა, რომ მთავრობის განკარგულებით იარაღი უნდა აიყაროს მცხოვრებლებისო, ხალხში გაიძახოდნენ: ეს იმათ გადასწყვიტეს, ვინც თავადაზნაურების მომხრეა და მათი აღდგენა სურსთ მიუხედავად ამ ლაპარაკისა, 17 ივნისს გუბერნიის კომისარის განკარგულებით დუშეთის მაზრის კომისარის ლომბაძის განკარგულებაში მყოფი მფრინავი რაზმი მაზრის მილიციის უფროსის თანხლებით გაემგზავრა სოფ. ბაზალეთში. რადგან კომისარ ლომბაძესა და კაპიტან ფალიანის შორის უნდა ყოფილიყო კავშირი და რადგან ეს კავშირი თითქმის დაიკარგა და ვერ აცნობეს ერთმანეთს საქმის მსვლელობა, ამის გამო 18 ივნისს 12 საათზე მაზრის კომისარი ლომბაძე გაეშურა წილკანისაკენ, სადაც ეგულებოდა ჯარი. თან გაიყოლია აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ტატე მოშიაშვილი, წითელი გვარდიელი დათიკო ალხაზიშვილი და მილიციონერი ვარლამ ორაგველიძე. როდესაც სადგურ ნატახტარზე მისულან, აუტეხია წილკანის მაღალ გორაკებზე საშინელი სროლა. ამ დროს გამოჩენილა რაზმი ეგრეთწოდებული ბალშევიკებისა, რომელიც საბრძოლველათ ემზადებოდა თურმე. ამ ამბავის გაგებაზე და დანახვაზე კომისარს ლ—ძეს გადაუწყვეტია უკან დაბრუნება და დარჩენილი ჯარის მიშველება. სადგურ წილკანის იქით, ორი ვერსის მოშორებით გზის პირად შეხვედრიათ 20 მდე შეიარაღებული პირი. კომისარ ლ—ძეს უკითხავს, თუ რად არიან აქ და სად მიეშურებიან, მაგრამ იმათ პასუხი არ მიუციათ. გაშორებია თუ არა კომისარი თავისი ამხანაგებით, რომლებიც მიდიოდენ კაჭკებით ქ. დუშეთში, მას დასწევიან ტყით ეს ვაჟბატონები და გზიდან აუტეხიათ საშინელი სროლა. უხერხულ მდგომარეობაში მყოფი კომისარი ლ—ძე და მისი ამხანაგები დაფანტულან. მოშიაშვილი თვალში დაჭრილი გაქცეულა; დათიკო ალხაზიშვილი და ვარლამ ორაგველიძე სასიკვდილოდ დაუჭრიათ ფეხებში, ხოლო საბედისწეროთ თვით კომისარი ლ—ძე გადარჩენილა, რადგან ცხენი მოუკლავთ.

როცა გონს მოსულან, აუყვანიათ ეს დაჭრილები, დაულაგებია ტახტებზე და წაუღია ქ. დუშეთში.

19 ივნისი. ხალხი მღელვარებს, რაღაც სულ სხვანაირათ გვიმიოყურებიან... თითქოს ჩუმათ ლაპარაკობენ. ადგილობრივათ დარჩენილი დამხმარე ძალები განზე დგანან, გაურბიან კომისარს... 11 საათი იქნებოდა, როცა შევნიშნეთ, რომ ეგრეთ წოდებულ ბაბალშევიკებულ რაზმებს იერიში მოჰქონდათ ქალაქზე. 12 საათზე ქალაქს გარს შემოერტყა რაზმი, სამი ოთხი ათასი კაცისაგან შემდგარი. აიკლეს და გაანადგურეს კომისარიატი, დაანგრიეს ციხეხუზები, გაძარცვეს სასურსათო მაღაზია, კერძო ხალხს და ასე ამ რიგათ დაიწყეს თარეში. უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილი კომისარი ლ—ძე დაიმალა, რადგან გაბოროტებული ბრბო მოითხოვდა მის დაჭერას, წამებას... დაიჭირეს და მოკლეს აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე საშა რიკაძე, წევრები: პეტრე ავლოხაშვილი და გორა ნაკლიაშვილი, დაეძებდენ ყველა მომუშავე ძალებს. ძლიერ უნდოდათ კომისარის ლ—ძის და ვიბორგინის დაჭერა და სიკვდილით დასჯა, მაგრამ მათ მოახერხეს ტყეში დამალვა. როგორც ამბობენ, ისინი ტყვეებს წილკანში ხოცავენ. ერთი სიტყვით, მდგომარეობა მეტათ ცუდი იყო და არის დღესაც.

ვ. შემოქმედელი.

საშა რიკაძე.

დუშეთიდან მოსული ცნობით, იქ ამბოხების დროს მოუკლავთ დეპოში მომუშავე, ძველი პარტიული ამხ. საშა რიკაძე.

ამგვარათ საფლავს საფლავი მოსდევს, უსწორო ბრძოლაში საუკეთესო რჩეულნი გვეთხოვებიან და მდგომარეობა დღითი დღე უარესდება.

ვინ მოიფიქრებდა იმას, რომ სანდრო კეცხოველს თავისი ბოროტი შვილები მოჰკლავდა, ვინ იტყოდა იმას, რომ ხალხისათვის თავგანწირულს მაზრელს ხალხის შეუგნებელი ნაწილი განგმირავდა.

ვინ წარმოიდგენდა ოცნებაშიაც, რომ ხანგრძლივ ბრძოლაში დაღლილს, დასჯილს, ფიზიკურათ დასუსტებულს ამხ. საშა რიკაძესაც ვერაგულათ, ცბიერათ, მოღალატურათ დახვრეტდენ, რომელსაც ავათმყოფობის გამო სულ რამდენიმე დღის სიცოცხლე ღა დარჩენოდა.

საშა რიკაძის ცხოვრება, ეს მოძრაობა იყო, საქმიანობა, პროლეტარიატისათვის, მუშათა პარტიისათვის.

საშა რიკაძე თფილისის დეპოს მუშების საყვარელი ძმა იყო, მათი მოსარჩლე, მათი ინტერესების დამცველი.

მან ხალხისთვის იბრძოლა, ხალხს ენაცვალა, პირადი ინტერესები უარყო.

საშა რიკაძე მოწინავე მუშა იყო, განვითარებული, მომზადებული, მცოდნე მუშათა საკითხებისა, დინჯი, სერიოზული, დაფიქრებული, აუჩქარებელი მოსაქმე და არა მყვირალა...

საშა რიკაძემ სამართლიანი სიყვარული დაიმსახურა მიხაილოვის და თფილისის მუშათა შორის. მას ყველა პატივს სცემდა...

1903—4—5 წლებში, მან ბევრი ტანჯვა განიცადა მიხაილოვის რაიონში, მაგრამ არჩეულ გზიდან არ გადაუხვევია, ერთხელაც არ შეუყუულა, ერთხელაც უიმედობას არ შეუპყრია იგი.

მისი ზნეობა სპეტაკი იყო, მას ახასიათებდა მაღალი თვისება—ნაკლები ლაპარაკი და მეტი მოქმედება...

მუშათა წრეში იგი არა ჩვეულებრივი ადამიანი იყო.

მე მაგონდება მისი გამბედაობა, მისი მტკიცე ნება და შეუპოვარი ბრძოლა ყოველივე ბოროტების წინააღმდეგ დეპოში. ეს კი იმ დროს, როცა შავბნელი რეაქცია მეფობდა, როცა ხმის ამოღებას ვერავინ ბედავდა, როცა ფართე მასა გარინდებული იყო.

მე იგი პირველათ ენახე 1916 წლის დასაწყისში მუშათა პატარა წრეში სახე გამხდარი, სევდიანი გამომეტყველებით. მე ის მაშინ გავიცანი და ვიპოვნე ამხანაგი, რომელიც თფილისის სოც.-დ. პარტიაში აქტიურათ მუშაობდა და ხელმძღვანელობას უწევდა დეპოსა და რკინის გზის სადგურის მცირე ჯგუფს.

ეს კი იმ დროს, როცა თფილისის პარტიულ ცხოვრებაში კრიზისი იყო, მუშები ერთგვარ პოლიტიკურ აპატიას შეეპყრო, როცა მთელი ტვირთი პარტიულ მუშაობისა მცირე რიცხოვან რაზმს ედო ზურგზე.. როცა ბევრი მოწინავე მუშები ალმაცერათ შეჰყურებდენ პოლიტიკურ და კლასობრივ მოძრაობას და ეგრ. წოდებულ „ლიკვიდატორიზმს" მქადაგებლათ გამოდიოდენ, ზურგს აქცევდენ ორგანიზაციებში მუშაობას.

მე მახსოვს საშას გატაცებული მუშაობა სამხედრო სამრეწველო კომიტეტის არჩევნების დროს და მისი დაუღალავი ღვაწლი იმ ხანაში, რის გამო მან ჟანდარმებს მიერ დევნა-წამება განიცადა...

პარტიულ ორგანიზაციის გარდა საშა სხვა და სხვა კულტურულ გამანათლებელ დაწესებულებებშიაც მუშაობდა...

იგი დღე და ღამე არ ისვენებდა. მთელ დროს დასუსტებული ადამიანი საერთო საქმეს სწირავდა...

1908 წლის შემდეგ რკინის გზის მუშათა ორგანიზაციები დაირღვა. მუშებში დემორალიზაცია იყო გამეფებული და ყოველივე ცდა უნაყოფოთ ჩაიარა. 1916 წელს კი თფილისის კომიტეტის ინიციატივით რკინის გზის ორგანიზაციების აღდგენას შეუდგენ და კომისიაში საშამ მინდობილი საქმე პირნათლათ აასრულა და 25 დეკემბერს მიხაილოვში მოხდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის ორგანიზაციების დამფუძნებელი კონფერენცია, რომელმაც აირჩია ბიურო და ამ ბიუროში საშა ღებულობდა მონაწილეობას რუსეთის დიდ რევოლიუციამდე. რევოლიუციის შემდეგ იგი იყო წევრი მუშათა საბჭოსი და ტრიალებდა თფილისში.

„აჰ დრო მოვშორდე თფილისს, აქ ისეც ბევრია ძალები და სოფლის ხალხს უნდა მიშველებაო", ამბობდა იგი ჩვენთან და კიდეც წავიდა... მან თავისი უკანასკნელი ენერგია დუშეთის მაზრაში დაჰკარგა. დუშეთის წამებულ ხალხს უთავაზა. მაგრამ იგი არ დაინდეს, სოფელმა უღალატა და მან მოჰკლა, ვისთვისაც იტანჯა... იგი ქალაქში გაიზარდა, პროლეტარიატის მედგარ ბუნების წიაღში და თავისი უკანასკნელი ცხოვრების წუთები სოფელში დაამთავრა...

დუშეთში მოუსპეს მას სიცოცხლე ბარბაროსულათ. მისი საფლავი თავგანწირულ, წამებულ ძმების ისტორიულ საფლავს მიემატა. თან წაიღო უენაურ ქვეყნიდან მწარე მოგონება.

მშვიდობით ძმაო! გვაპატიე დანაშაული. არ მოგასვენეს სიცოცხლეში და ახლა მაინც დაისვენე ჩვენგან დევნილო!..

შენ თვით კარგათ იცოდი, რომ ჩვენი გზა ია-ვარდით არ იყო მოფენილი და ჩვენს გზაზე ეწერა: „ვიტირეთ, ვიტანჯეთ". დეე გვდევნონ, გვაწამონ, სიცოცხლე მოგვისპონ, ჯვარს გვაცვან, მხოლოდ ჩვენ მაინც ვაკეთოთ ხალხის საქმე...

შენი ანანია.

პეტრე ავლოხაშვილი

როგორც დუშეთიდან დაბრუნებული ამხანაგი გადმოგვცემს, იქ საზარელი ამბები დატრიალებულა. აჯანყებულ ე. წ. ბოლშევიკებს 18 ივნისს ალყა შემოურტყამთ ქალაქისთვის. ბრძოლის დროს სხვებთან ერთად მოუკლავთ ამხ. პეტრე ავლოხაშვილი.

თავზარ დამცემია ყველა მისი ამხანაგებისთვის ეს ცივი სიტყვები, პეტრე, უწმიკვლო გულის პატრონი, რომლისაც ვერ წარმოიდგენა მოწინააღმდეგეებისაგან მსგავსი საზიზღრობა, არ მორიდებია პროვინციაში მუშაობას იქაც კი, სადაც არა ერთხელ დამუქრებიან შავრაზმელთა ბრბოები. ახალგაზრდა, ენერგიით სავსე და რევოლიუციონური მისწრაფებით აღტაცებული პეტრე ჯერ კიდევ რეაქციის დროს ჩაება პარტიულ მუშაობაში. პეტრე იშვიათი ხასიათის პატრონი, განსაკუთრებულის ხალისით შეუდგა მუშაობას ამ თავისუფლების დროსაც და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ყოველგვარ ავაზაკ ანარქისტებს და ამ ბრძოლაში დაეცა კიდეც მსხვერპლად.

გულ დათუთქულნი დავსტირით ჩვენს დაუვიწყარ პეტრეს გაციებულ ცხედარს. მშვიდობით ძვირფასო პეტრე...

ან. ხიზანაშვილი, ვ. სუხიშვილი
დ. ყიასაშვილი.

პეტრე ავლოხაშვილი და გორა ნაკლიაშვილი.

20 თიბათვეს დუშეთში ვერაგულათ მოკლეს მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის და თავდაცვის კომისიის წევრები პეტრე ავლოხაშვილი და გორა ნაკლიაშვილი.

პეტრე თფილისის სახელოსნოს მუშა იყო. იგი გამოგზავნეს—დუშეთის მაზრაში სამუშაოთ და გულმოდგინეთ ასრულებდა დავალებულ საქმეს.

გორა გლეხი იყო. მართალია, იგი უსწავლელი კაცი იყო, მაგრამ პატიოსნათ მუშაობდა და პირნათლათ ასრულებდა თავის მოვალეობას. ხალხი მას ნდობით ეკიდებოდა და თავის წარმომადგენლათ გაგზავნა სხვადასხვა ორგანიზაციებში. იგი იყო წევრი თავდაცვის კომისიისა და გონივრულათ ხელმძღვანელობდა მაზრის წითელ გვარდიას.

19 თიბათვეს, როცა ბრბო შემოესია დუშეთს, პეტრე და გორა იარაღით ხელში ტრიალებდენ გვარდიელთა შორის.

აი, ყველა დაემორჩილა უხეშ ძალას, დაყარეს იარაღი, მარა პეტრემ და გორამ ეს არ ჩაიდინეს, მათ იარაღით შეაფარეს თავი დუშეთში. ღამის 11 საათზე მათ განიზრახეს გაპარვა, მარა ისინი შეამჩნიეს და დაუწყეს სროლა. პეტრეს და გორას პატრონები შემოაკლდათ, მოწინააღმდეგეებმა ისარგებლეს ამით და გამოასალმეს ისინი წუთისოფელს.

იძინეთ ტკბილათ მებრძოლო ამხანაგებო!

პეტრე ვიგორბინი.

მუშათა წერილები

ეროვნული საბჭოს თუ მუშათა და გლეხთა საბჭოების მთავრობა?

თუ არსებობდა ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, ეს მთავრობათ არ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან მას ყურს არავინ უგდებდა.

თუმცა მუშების, ჯარისკაცების და გლეხების საბჭოებმა შექმნეს ამიერ-კავკასიის კომისარიატი, მაგრამ არც ეს სარგებლობდა ვისიმე ნდობით.

ამიერ-კავკასიის სეიმი და მაშასადამე მისი მთავრობაც თუმცა საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი, საიდუმლოთ იყო არჩეული, არც ამას უწევდა ვინმე ანგარიშს. საქართველოს ეროვნულ საბჭოს მთავრობასაც იმდენ მნიშვნელობას აძლევენ, რამდენსაც წინანდელ მთავრობებს. თუმცა მთავრობები თავიანთ კანონპროექტებს-დეკრეტებს საბჭოების და სხვა რევოლიუციონურ-პოლიტიკური ორგანიზაციების დაუკითხავად არ გამოაქვეყნებდენ ხოლმე, მაინც არა და არავის არ მოსწონდა სრულათ მათი მოქმედება. და ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენში—ამიერ კავკასიაში ძალა უფლება ფაქტიურათ მუშების, ჯარისკაცების და გლეხების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტების ხელში იყო და ამათი გადაწყვეტილება უფრო ტარდებოდა ცხოვრებაში და უფრო მეტი ნდობითაც იყვენ აღჭურვილი. ორი ორგანოს—მთავრობის არსებობა ერთ სახელმწიფოში ნებით თუ უნებლიეთ, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ, ცოტათ თუ ბევრათ სახელმწიფოს საქმეების წინსვლას აფერხებდა. ყველაფერში დამნაშავე გამოდიოდა მთავრობა იმიტომ, რომ იქ არა სოციალისტებიც იყვენ და მათი გამო სოციალისტებსაც უნდობლათ უყურებდენ. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენ რევოლიუციის პირველ დღეებიდანვე ძალა უფლება საბჭოებს და მათი აღმასრულებელ კომიტეტებს გადავეცით, სიტყვით მაინც ვლაპარაკობდით ძალაუფლება მთავრობას უნდა ჰქონდესო.

განა საბჭოების მთავრობა არ იყო, რევოლიუციონური ბიურო, რომელმაც ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი გადააყენა?

განა საბჭოების მთავრობა არ იყო, კერენსკის ბრძანება რომ შეაჩერა, რომლითაც კერენსკი აუქმებდა ყველა რევოლიუციონურ ორგანიზაციებს, რომელსაც (ბრძანებას) გულმოდგინეთ იცავდენ „მემარცხენე" სოციალისტ-რევოლიუციონერები ბ.ბ. თარხნოვი, თუმანოვი და კომპანია?

განა ნ. ჟორდანიას გუბერნიის კომისრათ დანიშვნა საბჭოების მთავრობის უარისყოფაა?

განა ნ. ჟორდანია და სხვა ჩვენმა ამხანაგებმა არ მოითხოვეს სრულიად რუსეთის დემოკრატიულ თათბირზე ძალაუფლება გადაცემულიყო საბჭოების წარმომადგენლებისაგან შემდგარ ერთგვარ სოციალისტურ მთავრობის ხელში?

განა ნ. ჟორდანია არ ამბობდა ხაზგასმით: მუშების, ჯარისკაცების და გლეხების საბჭოები თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში და ბაქო და ბათუმის მეტი არსად არ არსებობს და უსამართლობა-ძალმომრეობა იმავე დროს შეუძლებელი იქნება ორი გუბერნიის და 2 ქალაქის საბჭოებმა მოახვიონ თავზე თავიანთი ნება-სურვილი უმრავლესობას, თორემ ყველგან რომ ყოფილიყო საბჭოები, ვის რა აქვს საწინააღმდეგო, რომ საბჭოების მთავრობა იყოსო? განა ნ. ჟორდანია არ უმტკიცებდა ჩვენებურ „მემარცხენე ესერებს, ბალშევიკების იარაღით დამარცხება რევოლიუციის დამარცხება არის და ამაში ჩვენ არ მოგყვებითო? და ბალშევიკები ხომ საბჭოების მთავრობას მოითხოვდენ... მე ისტორიის დაწერა არ მსურს, თორემ ბევრი, ძალიან ბევრ ბრძანებებს, დადგენილებებს და პრაქტიკულ ნაბიჯებს ავღნიშნავდი, როგორც უტყუარ საბუთებს იმისას, რომ ჩვენში ფაქტიურათ ძალაუფლება საბჭოების ხელში იყო. არა სოციალისტების შეყვანა მთავრობაში ყველას გულს უკლავდა, ვინაიდან მათ არასოდეს მშრომელი ხალხის ნდობა არ დაიმსახურეს და არც იმდენი ცოდნა-გამოცდილება ჰქონდათ, რომ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ცოტათი მაინც გაეუმჯობესებიათ.

ახლა მდგომარეობა ძირიანათ შეიცვალა: თუ შარშან თ ვად-აზნაურობა, მემამულეები, სპეკულიანტები და ძველი რეჟიმის მოტრფიალე ჩინოვნიკობა და მათი თანამოაზრენი აშკარათ ვერ ბედავდენ დემოკრატიის წინააღმდეგ ხმის ამოღება გამოლაშქრებას და დემოკრატიაც გულგრილათ უყურებდა ყველაფერს, ახლა ისე აღარ არის. დემოკრატიის უფლებების ფეხ ქვეშ გასათელავათ აღარაფერ ზომებს აღარ ზოგავენ, დემოკრატიაც ხედავს, გრძნობს ყველაფერს ამას და უორგანიზაციოთ, უხელმძღვანელოთ, უგეგმოთ ახდენს გამოსვლებს უთავრესათ სოფლებში და მშრომელ ხალხის—დემოკრატიის და სამწუხაროდ, დემოკრატიის მტრების სასიხარულოთ, მხოლოდ და მხოლოდ იღვრება ძმათა სისხლი, აჯანყებულები კი ფიქრობენ თავად აზნაურობას, მემამულეებს, სპეკულიანტებს და ძველი რეჟიმის მომხრეებს ეომებიან. ისინი ლაპარაკობენ: ჩვენ მშიერი ვართ, ტანთ აღარა გვაცვია რა, რუსეთს ჩამოგვაშორეს, ამიერ-კავკასია სამათ გაყვეს, გერმანელებს და ოსმალებს მიჰყიდეს მრავალი ოლქები და გუბერნიები, კმარა ამდენი მოთმინება, ან დავიხოცნეთ, ან გავიმარჯვოთო. ასეთ გამწვავებულ არეულ-დარეულ ხანაში ძნელია შექმნა ისეთი მთავრობის, რომელიც სანახევროთ მაინც დააკმაყოფილებდეს დემოკრატიის პოლიტიკურ-ეკონომიურ მოთხოვნილებებს. არც ერთი ეროვნული საბჭო არ სარგებლობს დემოკრატიის ნდობით და ახლა, სწორედ ახლა საჭიროა ისეთი მთავრობის შექმნა, რომელიც დემოკრატიას შემოიკრებს თავის გარშემო, განურჩევლათ ეროვნებისა და ერთა შორის შუღლსა და მტრობას ბოლოს მოუღებს. ყველაფერს ამას შესძლებს გააკეთოს მხოლოდ და მხოლოთ მუშებისა და გლეხების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებისაგან შემდგარი ერთგვარი სოციალისტური მთავრობა, რომელშიაც ადგილი არ ექნება ბურჟუაზიის წარმ[illegible] ძველებურათ დარჩება ერთის მხრით ეროვნული საბჭოს მთავრობა და მეორეს მხრით მუშების და გლეხების საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები, მათ შორის მუდმივი უთანხმოება-უკმაყოფილება ისევ იქნებოდა მუშების, გლეხების და საზოგადოებ ცხოვრებაში პოლიტიკურათ-ეკონომიურათ უკმაყოფილონი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ამოუდგებიან გვერდში და ამ რიგათ კვლავ ორ მთავრობასთან გვექნება საქმე. მე უპირატესობას ვაძლევ ძალა უფლების საბჭოების წინაშე პასუხისმგებელ მთავრობის ხელში გადაცემას, ვინაიდან ეროვნული საბჭოს მთავრობის გარშემო ვერ მოიყრის თავს არც ქართველი დემოკრატიის უმრავლესობა და არც აქ მცხოვრებ სხვა ერების დემოკრატია. და ეს არა იმიტომ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა მტერი ვისიმე, არამედ იმიტომ, რომ ფართე დემოკრატიას არა აქვს ნათელი წარმოდგენა ამ საკითხზე. საბჭოების მთავრობა კი ყველა ერის დემოკრატიას ერთად ერთ მხსნელათ მიაჩნიათ და ამ რწმენაზე არც ისე ადვილათ აიღებენ ვინმე ხელს. ჩვენ ბალშევიკები არა ვართ, რომ უმრავლესობას მოვახვიოთ თავზე ჩვენი „სოციალიზმი". საბჭოების მთავრობამაც, რა თქმა უნდა, დამფუძნებელ კრებამდის უნდა იარსებოს, ვინაიდან თფილისის და ქუთაისის გუბერნიების მცხოვრებლები განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა მხოლოდ და მხოლოდ სოციალისტურ პარტიებს მისდევენ და ისიც მარტო სოციალ-დემოკრატებს და სოციალისტ-რევოლიუციონერებს. ეს ყველა არჩევნებზე დამტკიცდა და არავითარ საჭიროებას არ მოითხოვს საბჭოების მთავრობის მაგიერ ეროვნული მთავრობა გვქონდეს, სადაც შედიან ისეთი პარტიები, რომლებსაც ხალხი არ მისდევდა და არც მომავალში გაჰყვება. *)

ა. ფარნიევი.

სახელმწიფო კონტროლი

(დასასრული).

გარეგნული შემოწმება არის არითმეტიკული გამოანგარიშება ანგარიშებში აღნუსხულ თანხებისა. მისი მიზანია—დაამოწმოს საბუთებით თვითეული შემოსავალი და თვითეული გასავალი, გამოაკლოს, სისწორით არის ნაჩვენები თუ არა ანგარიშებში ჯამის რაოდენობა, მაგრამ, რაც შეეხება თვით საბუთების სისწორით შედგენას, ამ მხარეს ყურადღება არ ექცევა.

გარეგნული შემოწმების რევიზიის დროს უპირველეს ყოვლისა საჭიროა დარწმუნება იმაში, რომ რევიზიის მხრივ კონტროლზე დაქვემდებარებულ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სიით ყველა საბუთები სრულად არის და თუ არ არის მაშინვე უნდა ეცნობოს შეცდომის გასასწორებლად ხსენებულ დაწესებულებას. შემდეგ ამისა თვითეული საბუთი ცალ-ცალკე უნდა იყოს განხილული, ყურადღება უნდა მიექცეს ამა თუ იმა ანგარიშში გამოყვანილი ჯამში არის თუ არა არითმეტიკული შეცდომა, აგრეთვე სისწორით არის გადატანილი ჯამი ანგარიშის ფურცლის ერთი გვერდიდან მეორე გვერდზე თუ არა; არის თუ არა შეცდომა ციფრების მიმატება-გამოკლებაში და გამრავლება-გაყოფაში; არის თუ არა ისეთი შეცდომა, რომელსაც შეუძლია შესცვალოს ანგარიშის საერთო ჯამი და ეთანხმება თუ არა არსებული საბუთები სხვა მისივე გასამართლებლად წამოყენებულ საბუთებს. მაგალითად, ხარჯი ბარგების და სხვა და სხვა ტვირთების გადასაზიდავათ გაღებული, აგრეთვე ფულიან ამანათების და ტელეგრამების გასაგზავნად დახარჯული ფული საჭიროა საბუთებში ნაჩვენები იყოს ნაკლადნოების და ფოსტა-ტელეგრაფის კვიტანციების თანახმად. ამნაირი შემოწმების დროს ყოველი აღმოჩენილი შეცდომები გარეგნული შემოწმების რევიზორმა უნდა აღნუსხოს თავის რვეულში და მათ შესახებ სრული ცნობა მისცეს იმ რევიზორს, რომელიც არსებითად ამოწმებს ანგარიშებს, ოპერაციებს და საბუთებს. ამ დარგის შემოწმების რევიზორი ვალდებულია საბუთები გახვრიტოს „კომპოსტერით" ინიციალით „ს. კ." აგრეთვე ევალება გახვრიტოს საბუთებზედ დაკრულ მარკებისა, რომ მარკები საბუთებიდან არ იქნეს აძრობილი და ხელმეორედ გამოყენებული. მასვე ევალება საბუთებზედ გრიფის დასმა: „გარეგნულად შემოწმებულია", რომ თუ შემთხვევას ექნება ადგილი საბუთის დაკარგვისას, ხელმეორედ იმათი ფულის აღება შეუძლებელი ან იყოს. შემოწმების შემდეგ, საბუთები [illegible] რევიზორისათვის [illegible]. გარდა ზემოდ [illegible] გარეგნული შემოწმების რევიზორი საბუთებიდან იღებს ცნობებს [illegible] შესახებ და ამ ცნობებს აღნუსხავს სათანადო წიგნებში და განსაკუთრებით [illegible] დებიტორების ვალის თავის დროზედ

---

*) ვბეჭდავთ ცვლილებით ამხ. ფარნიევის წერილს, თუმცა მის დასკვნებს არ ვიზიარებთ. რედაქცია.

განაღდებას. აგრეთვე სათანადო წიგნებში შეაქვს სხვადასხვა ცნობები ხაზინის კასსების და მატერიალურ-ინვენტარულ ანგარიშების კვიტანციების თანახმათ.

არსებითი შემოწმება არის გაგრძელება გარეგნული შემოწმებისა და მდგომარეობს იმაში, რომ შემოსავალ-გასავლის ფულიან, მატერიალურ ინვენტარულ და ტეხნიკურ ანგარიშების საბუთების განხილვა-გამინჯვა ხდება რაც შეიძლება დაწვრილებით. რევიზორი არკვევს საბუთებში მოყვანილ ცნობათა კანონიერებას და სინამდვილე-სისწორეს, და რწმუნდება იმაში, რომ ყველაფერი ხდება კანონისა და სათანადო განკარგულების თანახმად.

არსებით შემოწმების დროს რევიზორი შინჯავს საბუთებს ცალ-ცალკე, რომ დარწმუნდეს მათი სისწორით შედგენაზე. თუ ხარჯი გაღებულია ანდა გასაღებია დაწესებულებების მოხელეთა ჯამაგირების დასაკმაყოფილებლად, საჭიროა დარწმუნება, რომ ის ხდება ჯეროვანი განკარგულების და შტატის თანხმად და სხვ.

როცა დადებულ პირობების, შეკრულ ხელშეკრულობის ან და ანგარიშის ნუსხით ხარჯი გაღებულია თუ გასაღებია, რევიზორი უნდა დარწმუნდეს ამ საბუთების კანონიერად შედგენაში და დამტკიცებაში. შემდეგ ის შინჯავს ხარჯის გასამართლებელ ყველა საბუთებს და უმთავრესად აქცევს ყურადღებას სამუშაო თვითეული ნამდვილად შესრულებულია თუ არა და თუ შესრულებულია, მაშინ ფასები მიღებულია პირობის და ხელშეკრულების თანხმად თუ არა; თუ სამუშაო შესრულებულია წინააღმდეგ პირობისა, მაშინ საჭიროა ამისათვის უმაღლესი მთავრობის დადასტურება და დაწვრილებითი განმარტება. ყოველი შესრულებული სამუშაო, შეძენილი ნივთები, ქონება და ინვენტარი უნდა დადასტურებული იყოს განსაკუთრებული თამასუქით. ამასთან მათზე ფული ორჯერ არ უნდა იყოს გაღებული ან და გასაღებად ნაანგარიშევი. ყოველი ცვლილება უსათუოდ ხელშეკრულით უნდა იყოს დამოწმებული და კანონიერი მიზეზებით დასაბუთებული. თუ ხაზინის კონტრაგენტს რაიმე დახმარება ჰქონდა აღმოჩენილი, მაგალითად: ხაზინიდან საქმის დასაწყებად ავანსი ჰქონდა მიღებული და დროებით სახმარად სხვადასხვა სამუშაო ნივთები წაღებული, ეს რევიზორმა დაწვრილებით უნდა გამოარკვიოს და თუ უკან დაბრუნებული არ არის, მოითხოვოს დაბრუნება. შემდეგ რევიზორი არკვევს და რწმუნდება ხაზინის კონტრაგენტის მიერ თავის დროზე საგირავო მოწმობის აღებაში და ამის გადასახადის მიცემაში. აგრეთვე ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საგერბო გადასახადებს და არკვევს სხვადა სხვა საბუთებზე კანონის თანხმად მარკები არის თუ არა დაკრული.

არსებითი შემოწმების გათავების შემდეგ რევიზორი ყოველ საბუთებს თვითეულად ცალ-ცალკე ასვამს გრიფს: „არსებითად შემოწმებულია" და აწერს ხელს. ყველა აღმოჩენილ შეცდომებს და ბოროტ-მოქმედებას რევიზორი დაწვრილებით აღნუსხავს თავის შენიშვნაში და სარევიზიოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებას უგზავნის, რომ მან შეცდომები გაასწოროს და ბოროტ-მოქმედება მოსპოს. თუ საჭიროდ დაინახავს დამნაშავეს პირდაპირ პასუხის გებაშიც აძლევს.

ზემო მოყვანილ უფლებებით და რევიზიის ორგანიზაციით აღმოიფხვრება სახელმწიფო კონტროლის მოქმედება.

დ. ცინცაძე.

საქიმო დახმარების მოწყობა საქართველოს ფარგლებში

ოთხი თითქმის წელიწადია, რაც ეს ომი დაიწყო და ჩვენ სულ ნგრევის გზას ვადგევართ. რევოლუციამ ხომ სრულიათ დაანგრია ძველი დახავსებული და უვარგისათ მოწყობილი სახელმწიფოებრივი აპარატი. კერძოთ საქართველომ ბევრი ქარტეხილი გადიტანა და ამიტომ საჭიროა ახლა მის შენებას შევუდგეთ. საჭიროა ყველა კულტურული და სპეციალისტური ელემენტები ამა თუ იმ დარგისა აამოძრავდნენ, რათა შექმნან ძლიერი სახელმწიფოებრივი საქართველოს აპარატი. ერთი ნაწილი ამ მთლიანი სხეულისა და მნიშვნელოვანი საქიმო დახმარების მოწყობაა. თუ ჯანსაღია ერი, ჯანსაღია სახელმწიფო, თუ უძლურია ერი, უძლურია სახელმწიფოც, ეს ისეთი ელემენტარული ჭეშმარიტებაა, რომ ამას მტკიცება აღარ სჭირდება.

19 ივნისს საქიმო და საბუნებისმეტყველო საზოგადოების კრებაზე ექიმმა ს. ვირსალაძემ მოხსენება გააკეთა, თუ როგორ უნდა მოეწყოს საქიმო დახმარება საქართველოს ფარგლებში, მომხსენებელი მოკლეთ შეეხო მეცნიერულ მხარეს, და მთელი მისი მოხსენება იყო მიმართული ადმინისტრატიულ მხრისაკენ. მომხსენებელმა თავის წინასიტყვაობაში დაახასიათა მოკლეთ მნიშვნელობა ჯანმრთელობისა სახელმწიფოსთვის და გადავიდა ადმინისტრატიულ ნაწილზე; ჩემი შეხედულობით, რამდენადაც პირველი წინასიტყვაობა კარგი იყო, იმდენათ ადმინისტრატიული მხარე მეტათ რთული და შეუსაბამებელი ჩვენი პატარა სახელმწიფოსათვის, ვინაიდან ეს საქიმო ორგანიზაცია იქნებოდა მეტათ დიდი, რომელსაც თუ სულ არა, ნახევარი მაინც დაახლოვებით მთელი საქართველოს ბიუჯეტი დასჭირდებოდა.

მომხსენებელმა მოკლეთ ასეთი აზრი გაატარა: „უნდა დაარსდეს საქიმო ინსტიტუტი, რომელსაც ეყოლება 12 საბჭო თავისი უფროსებით, ე. ი. ყველა სპეციალისტობას თავისი ქვეზართველობა, რომელნიც რამდენიმე პირისაგან შესდგებიან თვითეული საბჭო და იქნებიან სახელმწიფო მოსამსახურენი ჯამაგირით, ამ საბჭოებს ეყოლება კიდევ უმთავრესი ორგანო უფროსით და სამი მის ამხანაგით, ამის გარდა საპარლამენტო საქიმო საბჭო. მთავრობა, შინაგან სამინისტრო, სამაზრო საბჭოები და სხ... ერთი სიტყვით, იმდენი რამ, რომ ვერც კი დაიხსომებს ადამიანი: თუმცა მომხსენებელს არ უთქვამს, მაგრამ ვგულისხმობ, რომ ყველა ამათ თავიანთი კანცელარია ექნება და ახლა იფიქრეთ, თუ რა ხარჯი დასჭირდება ყველა ამას? რა თქმა უნდა, ასეთი ორგანიზაცია, რომელიც ბ. მომხსენებელმა გვაგაცნო კარგი იქნებოდა დიდ სახელმწიფოსთვის, მაგრამ საქართველოს ასეთი რამის დაარსება არ შეუძლია; თუმცა მაგალითისთვის მან გერმანია მოიყვანა, მაგრამ აბა, ჩვენ გერმანიას სად შევედრებით და მეორეც ის, როგორც ვიცი ლიტერატურიდან, არც იქ არის ასეთი დიდი საქიმო ორგანიზაცია... ჩვენთვის საჭიროა ვიქონიოთ მსუბუქი, მაგრამ მკიდრო და კარგათ მოწყობილი ერთი ცენტრალური ორგანო, რომელსაც დაექვემდებარება მთელი საქართველოს სამკურნალო ნაწილი. ჩვენ დღეს თუ ხვალ ერობა გვექნება, ყოველივე მაზრას თავისი თვითმართველობა ექნება, მხოლოდ საჭიროა, რომ ცენტრში შევქმნათ ერთი უმაღლესი ორგანო, რომელსაც ექნება კონტროლის ფუნქციები და დირექტივების მიცემა ე. ი. საქიმო კანონმდებლობის ფუნქციები... ამას გარდა, ჩვენ გვჭირია ძლიერი კონტროლი, სასტიკი კანონები ყველა ვიგინდარა სოფლად ექიმბაშების—მკითხავების ასალაგმავათ...

ვ. საათაშვილი.

საად.-მამულო რეფორმა

თელავის მაზრაში მომუშავე კომისიამ, მიიღო მიწები ყვარელის რაიონში, შემდეგ სოფლებში: ს. გრემში სტანისლავ ფონშტეინის, ს. საბუეში იოსებ და ქეთევან ჯორჯაძეების, ევგენია სოლომონის ასული ჯორჯაძისა, ლოლო ჯორჯაძის, თამარა ჯორჯაძისა; ს. ყვარელში სულ მორჩა მუშაობას. ყვარელში მიიღო შემდეგი მამულები: გიორგი ქქოძის, იური ჭავჭავაძის, ნიკო ჭავჭავაძის, ანნა ჭავჭავაძის, ალექსანდრა ივანე და ნინა ბაგდან-კალინსკისა, ბარბარე მაკაევის, აგრეთვე ჩამოერთვა მარტო ტყეები ანდრიოლეტი დეიოვანი იველოსი და ალექსანდრე აივაზოვისის. სულ ამათ ჩამოერთვა ტყეებითურთ 4108 დესეტ. 2031 ოთხკუთ. საჟ.

ამათში ვენახები 64 დეს. 1125 ოთხკ. საჟ., სახნავი 658 დეს. 268 ოთხკ. საჟ. საბალახე 77 დეს. 1920 ოთხკ. საჟ., საეზოვე 1 დეს. 2130 ოთხკ. საჟ., ამათში შედის გზები 11 დეს. 700 ოთხკ. საჟ., რიყე-წყლები 9 დეს. 1936 ოთხკ. საჟ. ტყეები 3285 დეს. 1152 ოთხკ. საჟ.

სულ 4108 დეს. 2031 ოთხკ. საჟ.

22 ამ თვეს უკვე შეუდგა კომისია შილდაში ვახვახოვის და ანდრონიკოვის მამულების მიღებას. აღსანიშნავია ერთი გარემოება: გლეხები და მემამულეებიც არ არიან კმაყოფილი ნორმის, რომელიც იტოვება კომლზე—აქედანვე უნდა იყოს განსხვავებაო; მართალია, არის მრავალრიცხოვან კომლზე საშვალება, მაზრის კომიტეტს ეძლევა უფლება საჭიროების და მიხედვით მიუმატოს მიწა, მაგრამ ეს მაინც არ აკმაყოფილებს მათ. სხვაფრივ გლეხებს და კომისიას შორის კარგი დამოკიდებულებაა. კახეთში მოსავალი ნამეტანი კარგია. ქერის აღება უკვე დაიწყო. პურის აღებაც ერთ კვირაში დაიწყება.

კალე.

სენის ბუდე

მას შემდეგ, რაც საზოგადოებისთვის მიუწდომელი გახდა ფართლეულობა, ბაზარზე გამოაქვთ ძველი ტანისამოსი და ღარიბი ხალხი მხოლოდ ძველებით იმოსება. წარსულ ზამთარში ტფილისის სადგურის მახლობლათ გაიმართა ეგრეთწოდებული „დეზერტირების" ბაზარი. ფრონტიდან დაბრუნებული ჯარისკაცები აქ ყიდდენ სახელმწიფო ქონებას საცვლებიდან დაწყებული ყუმბარა-ტყვიისმფრქვეველამდე.

ამიერ-კავკასიის რუსეთზე ჩამოშორების შემდეგ ჯარისკაცების ადგილი რუსეთში მივალმა ლტოლვილებმა დაიკავეს. ენა ვერ ჩამოთვლის, რა არ გამოაქვთ აქ გასაყიდათ: ყველაფერი ძველი, ჭუჭყიანი, უსუფთავო, რომელთა ნახევარზე მეტი დასაწვავი, რომ ვინმე იყოს პატრონი. ღარიბი პირები ბუზივით ეხვევიან და ყიდულობენ, არც კი კითხულობენ ვისი ნახმარია, ან საიდან მოუტანიათ. ყიდულობს არა მარტო ქალაქის მცხოვრები (რა თქმა უნდა, ღარიბი), არამედ სოფლის ხალხიც. ამასთანავე სოფლიდან ჩამოდიან ჩარჩები, ყიდულობენ, აგროვებენ, მიაქვთ სოფელში და ცვლიან სანოვაგეზე, ან მამასისხლად ყიდიან. რა თქმა უნდა, მე აქ არ შევეხები იმ ბოროტებას, რასაც ჩადიან გამყიდველები. მხოლოდ მე მაინტერესებს ერთი მეტად საყურადღებო გარემოება. ვინ არ იცის, რომ ყველა ძველი ტანისამოსი, თუ ლოგინი, რომელიც ბაზარზე გაჰქონდათ გასაყიდათ, ჯერ უნდა გაეტარებიათ სადეზინფექციო კამერაში და შემდეგ ასეთ ნივთებს თან უნდა ჰქონოდათ დაკრული კამერის ნიშნები. დღეს „დეზერტირების" ბაზარში ამგვარათ შემოწმებულ გასაყიდ საქონელს ვერ ნახავთ. ვისაც როგორ და რაც მოესურვება გამოაქვს და ყიდის. არა ერთხელ დამტკიცებულა, რომ ტანისამოსის საშვალებით ვრცელდება ყოველგვარი სენი, თუ ის ავათმყოფის ნახმარია. ბევრია ისეთი შემთხვევები, რომ ქალაქიდან სოფელში ჩატანილ ძველ ტანისამოსს მთელი ოჯახი მოუსპია. დღეს ქალაქში სხვადასხვა ავათმყოფობაა გავრცელებული.

ქალაქის მცხოვრებთა დიდი ნაწილი სენის ბრჭყალებშია გაბმული. სოფელში კი ასე ფართოთ არ არის გავრცელებული ავათმყოფობა. თუ სოფელიც მოიწამლა, მაშინ საზოგადოება გადაგვარების გზას დაადგება.

„დეზერტირების" ბაზარი ოსმალეთის ურდოებზე საშიშია. ეს ბუდეა ყოველგვარ სენის. აქედან ვრცელდება სენი როგორც ქალაქში, ისე სოფლათ. ჩვენმა მთავრობამ ამას უნდა მიაქციოს ყურადღება და სასტიკათ აკრძალოს ბაზარზე უდეზინფექციოთ ძველი ტანისამოსის გამოტანა.

ქვაჟუღელი.

ს.-დემ. პარტიაში

ფოთი. მიმდინარე წლის 12 აპრილს შესდგა ფოთის სოც. დემ. ორგანიზაციის კომიტეტის კრება, რომელსაც დაესწრო გარდა კომიტეტის წევრებისა მოწინავე ამხანაგებიც, რიცხვით 27 კაცი. სხვა საკითხთა შორის გაირჩა ამხ. ავქსენტი მეგრელიძის საქმე. მომხსენებლათ გამოდის კომისიის წევრი, ამხ. დ. გუბელაძე, ბრალდება ავქს. მეგრელიძის წინააღმდეგ, რომელიც წამოაყენეს ვარდ. და კვიროსი ჩხაიძემ იგი მდგომარეობს უმთავრესათ შემდეგში: ავქს. მეგრელიძემ გასცა ს.-დ. ორგანიზაცია რეაქციის დროს (გურიაში). კომიტეტმა მოისმინა კომისიის წევრის დასაბუთებული მოხსენება ავქს. მეგრელიძის საქმის შესახებ და დაადგინა (ერთხმად): „კომიტეტი სცნობს, რომ ბრალდებები, რომელნიც ვარდენმა და კვიროსი ჩხაიძემ წამოაყენეს ავქსენტი მეგრელიძის წინააღმდეგ, შეიცავს თავიდან ბოლომდე ცილისწამებას და გამოწვეულია პირადი მტრობით და შურისძიებით. ადასტურებს რა ამას, კომიტეტი გამოსთქვამს თავის ღრმა აღშფოთებას ასეთი საშუალებებით ბრძოლის წინააღმდეგ. აღნიშნავს რა, რომ ვ. ჩხაიძეს საზოგადოთ ჩვეულებათ ჰქონია მის მიერ ათვალწუნებულ ამხანაგების წინააღმდეგ პირადული ბრძოლის წარმოება პარტიული, ზნეობის მხრივ სრულიად დაუშვებელი საშვალებებით, ფოთის კომიტეტი ადგენს: ეცნობოს ამიერ-კავკასიის ყველა ორგანიზაციებს ეს რეზოლუცია და გამოქვეყნებულ იქმნას პრესაში ამხანაგების საყურადღებოთ. (ოქმი № 12, 1918 წ.).

მუშათა შორის

ხელზე მოსამსახურეთა შორის. ამხანაგებო! მე მგონია ყველას კარგათ გახსოვთ თუ რა დამცირებას განვიცდიდით. ჩვენ გვახსოვს თუ როგორ ბატონობდენ ჩვენზე „ხაზეინები". გახსოვთ, რომ ჩვენი სამსახურიდან დათხოვნა-მიღება თვით ხაზეინების სურვილზე იყო დამოკიდებული, ისიც კარგათ გახსოვთ, რომ ჩვენთვის არ არსებობდა არავითარი ზრდილობიანი მოპყრობა, განსაზღვრული სამუშაო დრო და ხელფასი. ალბათ, ისიც გახსოვთ, რომ ათასგვარ დამცირებისა და განუსაზღვრელი მუშაობის შემდეგში ჩვენი შრომის ფასი თვით პატრონების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული.

იყო შემთხვევა, როცა მაგ., სასტუმრო „ნოე"-ს პატრონმა 25 მ. დააჯარიმა ხელზე მოსამსახურე ეტლში ჩაჯდომისათვის. მაგრამ ყველაფერი ეს ხდებოდა მაშინ, როცა ჩვენ არ გვქონდა საკუთარი პროფესიონალური კავშირი და მჭიდრო ორგანიზაცია.

დღეს კი სხვა დარგის მუშათა მოძრაობას არც ხელზე მოსამსახურენი ჩამორჩენ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ წარსულთან შედარებით დღეს ჩვენი სამუშაო პირობები დიდათ გაუმჯობესებულია. დღეს ხელზე მოსამსახურეებმაც ნათლათ დაინახეს, თუ რა შეძლებია ორგანიზაციულათ შეკავშირებულ მუშებს. მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნო, რომ ზოგიერთ ჩვენს ამხანაგებს კიდევ სძინავთ და სილათას ძილისთვის თავი ვერ დაუღწევიათ. კიდევ არიან სულიერი ლაქიები, რომლებსაც თავის დამამცირებელ ჩვეულებისათვის ჯერ კიდევ ვერ დაუღწევიათ თავი. კიდევ იღებენ ეგრეთ წოდებულ „ნაჩაის", ხურდა ფულს თეფშით აწვდიან სტუმრებს, ანგარიშზე ზედმეტ დანახარჯს უმატებენ, პირთმაქცობენ ხაზეინები და სხვ.

„ჰოტელ ნოი"-ს სასტუმროდან გააძევეს მოსამსახურე იმიტომ, რომ მან ანგარიშზე ზედმეტი ხარჯი მიაწერა. ეს დადგენილება სამართლიანი იყო. მაგრამ იგი საქმეს სავსებით ვერ შველის, ვინაიდან ერთი სასტუმროდან გაძევებულს, მეორე სასტუმროში შეუძლია ადგილის შოვნა და თუ სხვა ქალაქში წავიდა, იქ ხომ მთლად უდანაშაულო ბატკნად მოაჩვენებს ყველას თავს. დიდათ საჭიროა ჩვენმა მოწინავე ამხანაგებმა პროფესიონალურ კავშირების დახმარებით დროზე შეებრძოლონ მუშა-მოსამსახურეთა სახელის გამტეხ ვაჟბატონთა მოქმედებას, თორემ, როცა ასეთი მოქმედება უფრო ფართო ხასიათს მიიღებს, მაშინ გვიანღა იქნება. კარგად იციან, რომ ჩვენში არიან სულიერი ლაქიები და ამიტომაც ჩვენი დამამცირებელი სიტყვა „ლაქია" ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ არის ხმარებაში. მართალია, არიან მოწინავე პირები, რომლებიც ებრძვიან მოსამსახურეებში გამეფებულ ცუდ ჩვეულებას, ცდილობენ იმათში შეიტანონ მეტი სიფხიზლე, მაგრამ მოსახურეთა განუვითარებლობა დიდათ უშლის ხელს ამ მიზნის მიღწევას.

ამხანაგებო! თუ თქვენ გსურთ ნამდვილი მუშის სახელი დაიმსახუროთ, თუ თქვენ გსურთ, რომ სიტყვა „ლაქია" გამოვიდეს ხმარებიდან, უნდა მივბაძოთ სხვა დარგის მუშებს, დავეწაფოთ თვითგანვითარებას, სხვა მუშებთან ერთად ჩავებათ მუშაობაში.

აუცილებლათ საჭიროა ჩვენ, ხელზე მოსამსახურეები ჩაუფიქრდეთ დღევანდელ მდგომარეობას, სერიოზულათ მოვკიდოთ ხელი ჩვენს ორგანიზაციის გამაგრებას და ასე საერთო ძალით შეიძლება დავიცვათ მოპოვებული სამუშაო პირობები. დროა ჩვენმა პროფესიონალურმა კავშირმა სასტიკი ზომები მიიღოს მუშათა სახელის გამტეხთა წინააღმდეგ. დროა გამოღვიძების, თორემ ბოლოს ნასუფრალის ამარა დავრჩებით.

თეოფანე ზემო-აკეთელი.

პროვინცია

რაჭა. სურსათის მხრივ რაჭა არასოდეს არ ყოფილა მაინც და მაინც სანატრელ მდგომარეობაში. რაჭას საკუთარი სიმინდი კარგ მოსავლიან წლებშიაც არ ჰყოფნიდა და დანაკლისს მუდამ სამეგრელოდან და სხვა კუთხეებიდან იძენდა, მაგრამ შემოტანა სიმინდისა სწორეთ ასე არ გაძნელებულა, რის მიზეზიც ყველამ უწყის. შარშან მოსავალი სიმინდისა ზოგიერთ საზოგადოების გამოკლებით, ძალიან მცირე იყო. ზამთარშივე სიმინდის შეძენა და მოწოდება მინდობილი ჰქონდა სასურსათო კომიტეტს, მაგრამ მან იანვრის შემდეგ რაღაც ექვსიოდე ვაგონი სიმინდისა რაჭას ვერ მოაწოდა. ხალხი დიდ გასაჭირში ჩავარდა. მიდიოდა საწყალი გლეხი რაღაც 5—6 ფუთისთვის სამეგრელოში და იქ ზედმეტ ფასებში ყიდულობდა და მოჰქონდა თავის დამშეულ ცოლ-შვილისთვის და ამასთანავე რამოდენიმე დღე სცდებოდა ყანის სამუშაოს. ასე იყო საქმე, მანამ მამისონის უღელტეხილი არ გასწმინდეს და იქიდან (ჩრდილოეთ-კავკასიიდან) არ შემოტანეს სიმინდი, მაგრამ რადგანაც ეს საქმე ჩარჩების ხელშია ჯერჯეროპით, სიმინდი ძალიან ძვირათ ფასობს, ფუთი 45—55 მანეთი და მეტია. სხვა უბედურებას ახლა სვანების თარეშიც დაემატა. 14 ივნისს, ღამით 28 შეიარაღებული სვანი თავს დაესხა დ. სადმელის ბაზარს და გასტეხეს კოოპერატივი და ფოსტის განყოფილება. კოოპერატივის საქონელი სრულიათ გაიტაცეს და აგრეთვე ფულიც და გასწიეს მთებში სვანეთში გადასასვლელათ. ეს გაიგო სოფელმა და შეიარაღებული უკან დაედევნა, დაეწია მთებში და სროლა აუტეხა. სვანებს მოუკლეს 4 კაცი, 3 კაცი დაიჭირეს. მეორე დღეს დილით მაზრის უფროსი მილიციის უფროსის თანხლებით და მილიციონერებით უკან დაედევნენ და სვანებს გაფანტეს. ნაწილი წაღებული საქონლისა და აგრეთვე 8 ვინტოვკა ხელთ ჩაიგდეს ჩვენებმა. 20 ივნისს სვანები სოფ. ჟრავს დაეცენ, მოიტაცეს ჯოგი და მწყემსებიც. სვანებს მოუკლეს ორი, ორიც დაიჭირეს, ჯერ გამორკვეული არ არის კარგათ.

ვ—კო დონაძე.

სამტრედია. 8 ივნისს სამტრედიის სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალმა გაასამართლა ჯარის კაცი შალვა ყარამანისძე ქუთათელაძე, რომელსაც ბრალდებოდა სამტრედიაში აფიცერ მებუკის სიტყვიერათ შეურაცყოფა. ეს ბრალდება დაუმტკიცდა ხსენებულ ქუთათელაძეს, ხოლო გზა და გზა მებუკესაც დაუმტკიცდა ქუთათელაძის მიმართ ხელშეუხებლობის პრინციპის დარღვევა და ამიტომ ტრიბუნალმა მიუსაჯა ქუთათელაძეს ერთი თვის ციხე და აფიცერ მებუკეს კი ორი კვირის ციხე. ერთი თვის ციხე მიუსაჯეს აგრეთვე ამავე საქმეზე მოწმეთ დაბარებულ ალექსანდრე მარკოზისძე წოწონავას ორჭოფულ ჩვენების მიცემისთვის.

11 ივნისს ტრიბუნალმა გაარჩია ილიკო და ნიკო პაპავების ჯ.-კ. ხეთერელის, თედორე ნესტორისძე ჯანელიძის და კრავეიშვილის საქმე, რომლებსაც ბრალდებოდა საწყობიდან გადმოტანის დროს 6 ტომარა შერიის მიყიდვა მეეტლე ლეჟავასთვის და ფულის თავიანთ შორის განაწილება. ბრალდებულნი გამოტყდნენ დანაშაულში და დაასახელეს აგრეთვე ამ საქმის მონაწილე პირი პრაპორჩიკი მაშველაძე, რომელსაც ჯარისკაცთა განცხადებით მიუღია 50 მანეთი.

სამხედრო რევოლუციონერმა ტრიბუნალმა ბევრი კვლევა-ძიების შემდეგ დამნაშავეთ იცნო ხსენებული პირები და მიუსაჯა ჯარისკაცს ილია ბესარიონისძე პაპავას, თედორე ნესტორისძე ჯანელიძეს, რაჟდენ გერასიმესძე კრავეიშვილს და მეეტლე ისიდორე გიორგისძე ლეჟავას სამ სამი თვის ციხე, ნიკოლოზ პორფილესძე პაპავას 2 ნახევარი თვის ციხე (ვინაიდან თითონ გამოტყდა დანაშაულში) და ხეთერელს ორი თვის ციხე, ვინაიდან მას არ მიუღია აქტიური მონაწილეობა შერიის გაყიდვაში.

პრაპორჩიკ მაშველაძეს კი მიუსაჯეს სამი თვის ციხე. ყველა აქ ხსენებულ პირებს სამხედრო რევოლუციონურ ტრიბუნალმა უფლება მისცა ჯარიმის სახით გამოისყიდონ სასჯელი. ჯარისკაცი ერთ თვის ციხეში ჯდომის მაგივრათ თუ მოისურვებს გადაიხდის 300 მან. მეეტლე და აფიცერი კი თვეში 500 მანეთს.

შერიის გაყიდვისათვის დატყვევებულ ჯარისკაცს და მეეტლე ლეჟავას ჩაეთვლება ის დღეები, რაც მათ უკვე გაატარეს ციხეში საქმის დაბოლოვებამდე.

—ო.

ამხანაგური სასამართლოს განაჩენი

მოისმინა რა ბრალდებანი წამოყენებული ბ. ენვინისაგან „ერთობის" 122 ნომერში მე-2 ქართ. მსროლ. დივიზიის ლაზარეთის მიმართ და პასუხი ამავე ლაზარეთის მთავარ ექ. იოსებ ცინცაძისაგან, სასამართლო შემდგარი 20 ივნისს ადგენს:

რომ ლაზარეთის უმოქმედობაში, რომელიც დამოკიდებულია ობიექტიურ პირობებისაგან, ოდნავადაც არ არის დანაშაული ექ. ცინცაძე, ვინაიდან ეს მის კომპეტენციაში სრულებით არ შედის; რომ ლაზარეთის „კამანდის" ქონების დატაცებას და ქურდობას მართლაც ჰქონია ადგილი, რასაც ექიმიც ადასტურებს, მაგრამ ეს მომხდარა არა ექიმის დაუდევრობით, არამედ—მობალშევიკო ჯარისკაცების მეოხებით და კერძოთ ექ. ცინცაძეს მიუღია ზომები, რათა ქონება გადაერჩინა.

რომ ენვინის წერილი არ სდებს ამაში ბრალს კერძოთ ექიმს და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ ეს ასე იქნა გაგებული.

თავმჯდომარეს მაგიერ ნ. რუხაძე.

რწმუნებულები: 1) ექ. ნ. რუხაძე 2) ქ. ქავთარაძე.

ჩვენი ფოსტა

ს. ხორში. პოლიკარპე ანდრიას ძეხ— გაზეთი გეგზავნებათ. გოჩა-ჯიხაიშის მომხმარებელ საზოგადოებას გაზეთი მისდის 1 ივნისიდან.

გაიხსნა თვალის [illegible]
(მუდმივი [illegible])
პარიზისა და ვენის უნივერსიტეტის თვალის კლინიკის ყოფილი ასისტენტის
ექიმ დონხინისა.
იღებს თვალის ტკივილებით ავათმყოფებს დილის 9—1 საათ. და საღ. 4—7 ნახ. საათ. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფ „აპოლლოს" ახლო) მძიმე ავათმყოფები და საოპერაციო პირები მიიღებიან სრული პანსიონით.

ექიმი ი. ვ. ძონიევი.
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე. ვერა, ვარდისუბნის ქ. № 3.

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 17—49.

ექიმი ა. დ. ციციშვილი
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. ავათმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათამდე, საღ. 5—7 ს. ჩერქეზოვის ქუჩა № 14.

მედ. ქალი რ. ბ. ზიმლო-საგაშვილისა
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა სახლი № 83. ტელ. № 9—26.

ექიმი ვ. კედიაშვილი.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ ყოველ-დღეს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4 კუთხე მიხეილოვის პროსპექტის—კიროჩნი ქუჩის მახლობლათ. ტელეფონი 8—48. ვაგზლის სამკურნალოში იღებს ყოველ-დღეს 12—2 საათამდე.

ექიმი ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ საღამოს 5—7 საათამდე. გრაფის ქუჩა № 8. მენასელიძის ბინა.

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი
მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტის შინაგან საბავშვო, საბებიო და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველდღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილ. 9—10 საათ. მისამართი ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით

ექიმი ლ. ი. ცაგარელი.
იღებს ავათმყოფებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანს, ყოველ დღე დილის 8 ნახ.—10 საათ. საღამოს 5—7 საათ. სერგიევის ქუჩა 14, ბინა 2. ტელეფონი 10—8

სამკურნალო კაბინეთი
ექიმი ალექსანდრე დავ. კეკელიძე
შინაგანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ
ტელეფონი 14—26

ექიმი ნ. ი. მამილაძე
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) დასნეულებულებს, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფ ტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნე ლებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 4—6 საათამდე. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11.

ექიმი ვ. მ. მუხაძე
იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა-დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 67; [illegible] საზ. შენობის პირდაპირ, სახ. [illegible]. ტელ. № 5—77.

მუშტაიდის დემოკრატიული კლუბი.
მეორე რაიონის ს.-დ. მ. პ. კოლექტივი ფინანსიურ მხარის გასაძლიერებლათ
ოთხშაბათს, 26 ივნისს საღ. 8 საათ. ქ. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით მართავს
კონცერტს.
კონცერტის შემდეგ
ლიტერატურული განყოფილება.
მონაწილეობას მიიღებენ: ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ჯიბილა, ნ. გოცირიძე და
ბილეთები იყიდება მეორე კოლექტივის ბიუროს ბინაზე (სახალხო სახლში) დილ. 10—2 საათ. და საღ. 5—7 საათ. და მუშათა კლუბში (მიხეილის ქუჩა № 65).
კონცერტის დღეს კი საღამოდან ბილეთები გაიყიდება მუშტაიდის დემო ტიულ კლუბის კასაში.
1—

ხელოვნური, მაღალი ხარისხის
ყინული
იყიდება ნაჭრობით და ხითუმათ საწყობ „გაზოლინოდ
მუხრანის ქუჩა, ყოფილი მუხრანსკის სახლი № 23, ტელეფონი № 200.

[illegible]-მეწინავე სტამბა რუხაძისა, გრიბოედის შესახვევი, № 1.